მიქელაძე გიორგი

მ ე ტ რ ო ნ ო მ ი

2020 წ.

ავანსცენაზე გამოდის, წელში მოხრილი, მოხუცი მამაკაცი, გაცრეცილი ღია ფერის შარვალ-კოსტიუმში, ხელჯოხით და შლაპით. ჩერდება, დიდხნს იყურება დარბაზში, თითქოს რაღაცის თმას აპირებს , მაგრამ ელოდება სანამ ყველა არ გაჩუმდება და მისკენ არ მიმართავს მთელ ყურადღებას.

მოხუცი მეზღვაური :- რაღაც მინდა გითხრათ! ძალიან მნიშვნელოვანი! ძალიან....

(თითქმის ჩურჩულით ამბობს , როცა დარწმუნდება რომ დარბაზში სამარისებული სიჩუმეა, შლაპას მოიხდის, სცენის კიდემდე მივა და საიდუმლო ხმით იწყებს.)

მოხუცი მეზღვაური :

ამ დილას ადრე გამოვედი სახლიდან ... სანაპიროსკენ მივდიოდი.. ვიწრო ქუჩაზე....უკნიდან სირბილის ხმა შემომესმა, პატარა ბავშვებმა რო იციან ტყაპი-ტყუპით... - ,, ბოდიშიო'' . მოვტრიალდი, აი ამხელა ბიჭი შემომცქეროდა , იქნებოდა ასე 6-7 წლის..,,ბოდიში'', რამდენი ხანია ეს სიტვა არ გამიგონია...ერთი წუთით!! ..ჩუუ...ერთი წუთით!!! (დარბაზს) ჯერ არ დამიმთავრებია.გაგიჟდებით რო გაიგებთ, რა მითხრა ამ პატარა ბიჭმა (ისევ ელოდებ დარბაზის სრულ სიჩუმეს, უფრო ახლოს მიდის მაყურებელთან, ტანითაც კი გადაიწევა, ცოტაც და შეიძლება გადავარდეს სცენიდან, თვალები უბრწყინავს) .,, -ბოდიში, ძალიან მეჩქარება და შეიძლება თქვენს წინ წავიდე ?!''

მე გზა დავუთმე.. და ისევ ტყაპი-ტყუპით გააგრძელა სირბილი. გაიგეთ ?! ბოდიში შეიძლება თქვენს წინ წავიდეო!! (ბედნიერი სახით დგას მოხუცი).

(ისმის ხარხარი, სიცილისგან სულს ძლივს რო ითქვამენ ისეთი) .

(სცენა ნათდება და თანდანთან ჩნდება ადამინთა სილუეტები, რომლებიც მაყურებლისგან ზურგით სხედან ნახევარწრეზე. გაუნძრევლად, რობოტებივით , წინ პატარა მაგიდებზე ლეპტოპები უწყვიათ. მხოლოდ მათი ხარხარი და ხმები ისმის.)

ახალგაზრდა ბიჭის ხმა: აუ სუ ეგ იყო? თან ძალიან მნიშვნელოვანიო ხო ?! ხახახახა!!!

ახლგაზრდა გოგონას ხმა : აუ დედას გეფიცბით თუ რამეს ვამატებდე, გამაჩერა , არადა მაგრა მეჩქარებოდა და აი სიტვა -სიტყვით ეს მომიყვა, როგორ გაატარა წინ პატარა ბიჭი, რომელმაც ბოდიში მოუხადა და უთხრა, - ბოდიში, შეიძლება თქვენს წინ წავიდეო?

ქალის ხმა : იქნებ სხვა რაღაცის თქმა უნდოდა, ან ფულის თხოვნა და მოერიდა

კაცის ხმა: სკლეროზი ექნებოდა, ბოდავდა ალბათ საწყალი

ბიჭის ხმა : სუ ეგ იყო? ნუ დამცენტრეთ?

ქალის ხმა: რა არის მერე ამაში მოსაყოლი, რამდენი სულელი რაღაცას იტყვის...

კაცის ხმა: კაი ვიღაც გამოპრუტუნებულმა, რაღაც სისულელე დააბრეხვა , ყველაფერს აქ რატო წერთ?

ახლგაზრდა გოგონას ხმა : ჯერ ერთი რა თქვენი საქმეა მე ჩემს ,,ვოლზე'' რას დავწერ

ჩახლეჩილი ხმა : თქვენ შიგ ხო არა გაქვთ?! რა მოხუცი?! რა პატარა ბავშვმა, -ბოდიში- გამატარეთ?!.., სულ ეგ არის? აუ სუ გამოსირდა ეს ხალხი...

მეორე მამაკაცი: ხო რა ნაღდად დასირდა ეს ხლხი?! ამის მეტი პრობლემა რო არ ექნებათ ... ვიღაც საცოდავი პენსიონერი, სკლეროზიანი რაღაცას ბოდავს, ალბათ წამლის ფული არ ქონდა და პირდაპირ ვერ უთხრა

ქალი: დადეთ ანგარიში და ჩავრიცხავთ ვისაც რადენი შეუძლია, ამდენ დროს რატო გვაკარგინებთ?

(სცენის დეკორაცია წარმოადგენს დიდი მრგვალი საათის ნახევარწრეს, რომელზეც ციფერბლატების ნაცვლად წლები წერა. იწყება წარსულით და მთავრდება მომავლით , ციფრების ნაცვალ კი წერია მაგ: 1937 , 1991 , 2008 ისრების მაგივრად მატრონომის ქანქარა ერთ რიტმში მოძრაობს. სიტუაციის სიმძფრიდან გამომდინარე იცვლება მისი ტემპი.)

(ეკრანზე ჩნდება ფეისბუქი, სადაც ახლგაზრდა გოგონას ფოტოები იდება, სხვადასხვა რაკურსით გადაღებული. ,,ფეისბუქელები'' ახმოვანებენ კომენტარებში დაწერილ ტექსტებს) :

კომენტარები:

- აუ რაა ლამაზი ხარ!!!
- ჩემი ძმიშვილია , ენაცვალოს მამიდა, ჩემი სიამაყე!!
- უი თამარ! როგორ გგავს, მართალაა რა სილამაზეა !! შენი სეხნია ყოფილა
- ხო სახელიც ისეთი ქვია, ბევრ პასუხისმგებლობას რო ანიჭებს
- რა შუაში პასუხისმგებლობასთან სახელი?
- არის, როგორ არ არის?!

- სისულელეა
- როგორ?! სად ბასა რო გქვია და სად- თამარი? ბასას ბევრი რამე ეპატიება და გაეტარება, თამარს არა
- აუუ სუ დადებილდა ეს ხალხი
- ხალხო თამარზე გამახსენდა , მაგარი რაღაც ვიპოვე
- რას გავს, ეს არის ლამაზი? თან ცხვირი ფოტოშოპში აქვს დამუშავებული , წარმომიგგენია სინამდვილეში რაც იქნება
- საინამდვილეშიც მახინჯი იქნება და აქაც მახინჯია
- რამდენი ბოროტია ამ ქვეყნაზე, ღმერთო უშველე ამ ხალხს!
- მგობრებო ჟულიენის ახლი რეცეპტი მაქვს და მინდა ყველს გაგიზიაროთ
- რა საყვარელი ხართ , თქვენი წინა რეცეპტიც ძალიან გამომადგა, - სალათი კურკუმით
- ამ გოგოზე ამბობენ რა ლამაზიაო? ფუუუ!!
- 10 წუთში 400 -მდე ლაიქი აქვს, რა არა?!
- ღმერთო უშველე ამ ხალხს ფუ რამდენი ბოროტია
- აი ვიპოვე თამარ მეფის ფიცი, სასწაულია!
- თამარ მეფე რა შუაშია ხალხო , ან ჟულიენის რეცეპტი? ...ცოტა აზრზე მოდით რაა
- ამ გოგოს თამარი ქვიაო და , თამარზ ე გაახსენდა ვიღაცას, ვა რა მოხდა დიდი ამბავი
- 436 ლაიქი ათ წუთში
- ამ გოგს თუ თამარ მეფეს?
- ამ გოგოს
- რაო თამარ მეფეზეო ? ვიღაცამ რო დააკომენტარა?
- დაესივნენ და აღარ დადო ეტყობა
- აი დადო ცალკე პოსტად

(საათი- მეტრონომი წარსულში გადაიწევა , ქანქარა ნელ ტემპში მოძრაობს. ეკრანზე ჩნდება თამარ მეფის ფრესკა და და კადრს მიღმა ისმის ხმა):

“სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა უფლისა ერთად-ერთისა! ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით. მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმინდა.
ვფიცავ იმ საათს, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა ადამიანობას დაუკავშირა; ვფიცავ იმ თვისებას, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ვფიცავ, იმ ტანს, რომელიც მაცხოვრის

თვისებების მიმღები გახდა, ვფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანში… ვფიცავ ჯვარცმას და ღვთაებრივისა და ადამიანურის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან… მავან მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და… მისი ციხეების აღებას არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი, და თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი ქრისტიანობა იუდეველთა რჯულზე გამეცვალოს, ქრისტიანთა სარწმუნოება დამეგმოს, მესიის მიმდევართა თემი დამეგდოს, თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტეს ჯვარი ფეხით გამეთელოს, მაღალმა უფალმამც ინებოს.”

კომენტარები : (რობოტებით სხედან ზურგით, და არ ინძრევიან მხოლოდ ხმები ისმის)

- ანუ ის პონტია ხო ,,ოდესმე დიდი ყოფილა სასრთველო?! ‘’-
- ამით რისი თქმა გინდათ?
- არაფრის. რაც დავდე საკმარისი არ არის?
- გასაგებია რო ინტელექტუალობას აწვებით მაგრამ, რატომ უნდა დაგიჯეროთ რომ ნამდვილია?! ფოტოშოპში რასაც მინდა იმას გააკეთებენ.
- სულ არ მაინტერესებს გჯერათ , თუ არა თქვენ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ტუტუცი.
- ტუტუციც ხარ და უზრდელიც

- დაბლოკე რაა ეგ ბოღმა გოიმი

- უკვე დავბლოკე

- არა რაა, გოიმობზაე საშინელი ამ ქვეყნად არაფერი არ არის.

- გეთანხმები

ამბიციური ქალი :

გოიმობის სტრუქტურაა აღსაწერი, მთავარი ნიშნებია დასადგენი და მერე ეს გოიმობა უნდა გახდეს სამარცხვინო, იქნებ ღირებულებითი გარემოს ეს ცვლილება სასარგებლო გამოდგეს.

აი ჩემეული გაგება უკიდურესი გოიმობისა და არაცივილიზებულობის: წვრილმანი ანგარება, როდესაც ფული შენთვის უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე რეპუტაცია; მოკრძალებული, ცივილიზებული კომფორტის მაგიერ ვულგარული ფუფუნების სიყვარული; ამპარტავნება; თანამდებობებისა და წარმატების კულტი; მდაბიო

ფეტიშიზმი, როდესაც დიდი შავი ჯიპები და უახლესი ტელეფონები გჭირდება საკუთარი მნიშვნელოვნების ხაზგასასმელად და ამ პერვერსიული ვნების დასაკმაყოფილებლად საბიუჯეტო სახსრებს, ანუ სხვის ფულს, ხაზს ვუსვამ სხვის ფულს იყენებ, გულმოწყალების და კეთილშობილების დეფიციტი.
იქნებ დაბრუნდეს ცოტა ხნით მაინც ის, რაც ყველაზე ღირებული იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთათვის - უანგარობა, კარგად გაკეთებული საქმის პატივისცემა! აი ეს იყო მაშინ "სვეცკობის" ნიშანი!!!

კომენტარები:

- აუუ ამ წარსულზე მომტირალი ხალხის მოსმენა არ შემიძლია რაა
- ხოო რაა
- მარტო ჭკუას რო არიგებთ ხალხს , ერთი თქვენი გაკეთებული საქმე დადეთ რაა
- ჩაკვდა, ხმას აღარ იღებს
- ჰაჰაჰაჰა!!!
- დაბლოკე ?
- არა თვითონ დამბლოკა
- ჰااااا!!!!!
- ზოგჯერ მგონია რომ სრულიად მარტო ვარ ამ დედამიწაზე და ჩემიანი ერთი ადამიანიც კი არ დარჩა
- მეც მასე ვიყავი და მაგიტომაც ადამინებს ესენი ვარჩიე

(facebook-ის ეკრანზე იდება ძაღლების ფოტოები)

- ვაიმეეე , რა საილამაზეა ?
- რამდენი გყავთ?
- თავიდან ერთი მყავდა , ახლა ექვსი
- რას აჭმევთ მერე?
- იმაზე მეტს არ ჭამენ ვიდრე ადამინები და არც ტვინებს ბურღავენ
- აუუუ თქვენს ძაღლებს უკვე 150 ლაიქი აქვთ 2 წუთში
- მე საერთოდ ვეღარ ვეკონტაქტები ვერავის , საერთოდ, არც ტელევიზორს ვუყურებ , არც სტუმრად დავდივარ და და არც სტუმრებს არ ვიღებ!

ემიგრანტი ქალი : ეეჰ! ეგრე ხო აქაც ვცხოვრობთ, მე კიდე სწორედ მაგიტომ მინდა ჩემს სამშობლოში დაბრუნება, რო წინასწარ არ ვიცოდე კარს ვინ შემოაღებს, ჩემი მეგობარი, თუ ნათესავი , ან თუნდაც მეზობელი...

- გაგიჟდით , გაუფრთხილებლად რო ვინმე დამადგეს, ჰმ
- არა, ეგ არც მე შემიძლია

ემიგრანტი ქალი : ეეეჰ, როცა სამშობლოდან შორს ხარ , მაშინ გენატრება ის ყველაფერი, რაც აქ აღარ გაქვს

- მაგის მეტი ვერაფერი დაიმახსოვრეთ სამშობლოში?
- კაი არ შემიძლია ამ ემიგრანტების კვნესაა.

ემიგრანტი ქალი : თქვენ ვერ გაიგებთ ამას, როცა ყველაფერზე გეტირება და გენატრება და ყოველი დღე იმზე ფიქრით იწყება როდის დაბრუნდები შენს სახლში

- მერე დაბრუნდით , ვინმე გიშლით, თუ ასე ძლიან გინდათ
- სად უნდა დაბრუნდნენ?! თითო ემიგრანტის ხარჯზე ხუთი ადამინი მაინც ცხოვრობს
- ხუთი ადამიანი კი არა, ხუთი მუქთახორა!
- კაი რაა მაგათი დაჩლუნგებულია ეს კაცები, მთელი დღე ტელევიზორის პულტით ხელში, სერიალების ყურების მეტს რო არაფერს აკეთებენ
- გეთანხმები

ემიგრანტი ქალი : ეგ ჩემს ქმარს არ ეხება

- აბა მაშინ რატო გაგიშვა საზღვარგარეთ სამუშაოდ,?! თვითონ წაბრძანებულიყო , თუ ამათ არ ეკადრებათ მოხუცების მოვლა, ჩავრდნილები მარტო ქალები არიან?! კაცებისთვის მოევლოთ.

ემიგრანტი ქალი : ჩემი ქმარი ვერ შეძლებდა სხვის მოვლას

- რატო? სტატუსს არ შეეფერებოდა? ეს არის ჩვენი უბედურება , მაინც რო სულ კაცებს ვამართლებთ
- ხოდა იმიტომაც ჭრიან ყოველდღე კისერებს ცოლებს.

- აუუუ , ეს რა მოხდა გუშინ უყურეთ?
- კი ვუყურე, საცოდავი გოგო
- მეზობელი ქალი ამბობდა ღირსი იქნებოდა ,,კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო''
- ვაი ჩვენს პარტონს
- მაგიტომაც გაიქცნენ ეს ქალები, აქ სიკვდილს, - იქ მონობა ურჩევნიათ
-

ემიგრანტი ქალი : ეგ მე არ მეხება, , სხვა გზა რომ მქონოდა არსადაც არ წავიდოდი, ჩემი ქმარი აფხაზეთის ომში იბრძოდა და იქ დაინვალიდდა.

- ქალბატონო , ქალბატონო! ძალიან გთხოვთ რა თავს ნუ იმართლებთ, ჩემი და ორი თვეა ეძებს მომვლელს თავისი მამამთილისთვის და ქალი ვერ იპოვა, თანხაზე აღარ არის ლაპარაკი. დარჩენილიყავით აქ და თქვენს ქმარსაც მოუვლიდით და სხვასაც.

ემიგრანტი ქალი : ჩემს დროს არ იყო ეგრე

- ახლა ხოა ?
- ახლა გვიან არის
- აქ ვიღაც ხო უვლის თქვენ ქმარს?

- **ემიგრანტი ქალი :** არა, გარდაიცვალა უკვე,
- უი ვიზიარებ
- მეც ვიზიარებ
- უკაცრავად არ ვიცოდი

(ეკრანზე ჩნდება ბევრი მომტირალი სმაილები)

- როდის არის დაკრძალვა?
- 11 წლის წინ გარდაიცვალა
- რატო წერთ ამ ძველ ტრაგედიებს?! ახლი ცოტა გვაქვს?
- ქალბატონო, მე თქვენს ადგილას აუცილებლად დავბრუნდებოდი, ჩემს შვილებთან, შვილიშვილები მაინც არ გენატრებათ?

ემიგრანტი ქალი : კი ოღონდ არ ვიცნობ

- უი

- მაშინ მითუმეტეს არ გინდათ გაცნობა ?

ემიგრანტი კაცი :

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ,აუცილებლად გაითვალისწინეთ რომ შეიძლება უკან დაბრუნებულს ყველა გაუცხოებული დაგხვდეთ...ბევრი ეძებოთ მაგრამ ვეღარ იპოვნით თქვენს ადგილს...უფრო მეტიც..საკუთარ თავსაც ვეღარ იცნობთ...
როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ იცოდეთ,რომ ძველებურად აღარაფერი იქნება.....უთქვენოდ გაივლის ბევრი წელი და სწორედ დაკარგული დროის გამო გაგებინებენ პასუხს....სიყვარულის,მონატრების გამო გაგკიცხავენ და ვერასოდეს მიხვდებიან რა გადაიტანეთ ეს პერიოდი...როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ შეეგუეთ რომ დაკარგავთ ყველას და ყველაფერს...თქვენსა და საყვარელ ადამიანებს შორის იმხელა უფსკრული გაჩნდება რომ ვერასოდეს ამოავსებთ.

(სცენაზე ისევ ის მოხუცი მეზღვაური შემოდის , პიჯაკს გაიხდის და ძირს დადებს, შიგნიდან ,,ტილნიაშკა" აცვია. ჯოხს მიადგებს შლაპასაც მოიხდის კოსტიუმზე დადებს)

მოხუცი მეღვაური : უნდა გავცურო, რამდენი წელია ფეხი აღარ ჩამიდგამს ზღვაში, დღეს ამის მიზეზი მაქვს ისეთი ბედნიერი ვარ, რაღაცის იმედი გამიჩნდა, რაღაც ძალიან დიდის

(თითქოს რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდაო , ჯერ მხნედ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს და მერე გაიქცევა (ზღვისკენ).

ისევ ნათდება ,,facebook" ეკრანზე და ჩნდება დოკუმნეტური კადრები იმ მიტინგის დარბევის, რომელზეც ორმა ახლაგაზრდამ თვალები დაკარგა.)

კომენტარები:

- თქვენ გნახეთ ორთვალდათხრილები!! თვენი ოჯახის წევრები და შვილები!!! ეს რა მთავრობის ხელში ვართ ხალხნოოოო!!!!!!

- წინა მთავრობა ხო გვყავდა კეთილშობილი არსტოკრატია?! ,,ორი გვამი '' რო ჭირდებოდათ დაგავიწყდათ???!!! თუ აღარ გახსოვთ?
- ამათ რაც არ უნდათ არ ახსოვთ!
- ხოდა ერთ დღეს ვნახე ისინიც და ესენიც გაწყვეტილები!!
- ამინ!
- ამინ!!
- დედიან - ბუდიანად უნდა გაწყვიტო ყველა!!!
- აუუჰჰ!!! 517 ლაიქი ერთ წუთში!!!!
- რას?
- წყევლას
- ხალხო დამიჯერეთ, ბოროტება და უარყოფითი ენეგია უკან ბრუნდება და ერიდეთ
- მე ყველა უზრდელი და ბოროტი წავშალე ჩემი ვოლიდან
- მეც!
- მეც!
- მეც!!
- ვის მივეცი ხმა ვის ! ვის! ამას წარმოვიდგენდი?!!! ამას?!!!
- საწყალი ის ქალი მართლა შემეცოდა?
- რომელი ?
- აი ინვალიდი ქმარი მყავსო, აფხაზეთის ომის ვეტერანიო
- ყავს კი არა ყავდა? 10 წლის წინ მომვდარა
- კაი რა შენი ჭირიმე ახლა ვიღაცის 10 წლის წინანადელი მკვადარი მაგლოვეთ!!!
- ააჰაჰაჰაჰაა!! რა ენა გაქვს

(ეკრანზე ჩნდება ბევრი სიცილის სმაილები).

-ქმარს გააჩნია ზოგ ცოცხალს ,,ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია!!''

-აჰაჰაჰაჰა!!!!

(ისევ სიცილის სმაილები ეკრანზე).

- ვისთან ჩამოვიდეს საწყალი? შვილებს კიდიათ ალბათ აღარც უყვართ , შვილიშვილებს არ ვიცნობო...
- სასაფლაოზე თუ მივა და იქ გადაუშლის გულს თავის ქმარს

ახალგაზრდა ქვრივი ქალი:

- ჩემი ქმარი ერთი წელია რაც აღარ არის და ისე, ძაან კაი ადგილია სასაფლაო, ლაპარაკობ და ლაპარაკობ შენ, რამდენსაც გინდა იმდენს ლაპარაკობ. ერთი წელი გავიდა, მართალი ყოფილა ერთი წლის მერე ეს ტკივილი სხვა ფორმას იღებოს, ორმოცზე რაც თქვეს, ისიც მართალი აღმოჩნდა. ჰოდა, რაკი დავიჯერე, მაგის გარეშე ცხოვრებასაც შევძლებ... მერე შევძლებ. ეგ სულ მეყვარება, მერეც მეყვარება. ყველა დღე კაი იყო მაგასთან ერთად. დღეს, სასაფლოზე ვეწეოდი და ვიხსენებდი. მე ვეწოდი. ის მკვდარია და აღარ ეწევა. მაგის წინა ახალ წელს, კალამი მაჩუქა, მელანიც მოყვებოდა და ლამაზ ყუთში იდო, მეთქი - რა უცნაური საჩუქარია და წერეო - მაგან მითხრა! ვწერ, მკვდარზე ვწერ. მკვდარზე და კიდევ, ვისაც ეგ მოუკვდა იმაზე - ჩემზე!.. აი, უფრო მანამდე რომ ახალი წელი იყო მომადგა, მიღიმის: ვიფიქრე და წამო, ზღვაზე გავიპროთო, კიდე ის ვიფიქრე მინდა ბავშვი რომ გვეყოლოსო. გავიპარეთ, გვეყოლა მერე, გოგო ბავშვი გვეყოლა. ჰოდა, ეგ გოგო ბავშვი მამას ბუშტებს უგზავნის ხოლმე, ფანჯრიდან ....

კომენტარები :

- რა ნიჭიერი ხარ კატო!!
- შენ სულ უნდა წერდე და წერდე!!
- მართლა რაა, დედას ვფიცავარ
- ერთი წელი გასულა
- რა წყვილი იყოოო
- ეს თუ ამას გადაიტანდა ვინ იფიქრებდა ?!..
- ,,ქალი ქალია დიდხანს მარტო რამ არონია...''
- ეს საიდანღა შემოხტა?
- საერთოდ აზრზე ხართ, ვის წერთ და რა კომენტარს აკეთებთ
  აახვიე რა შენი ფრაზიანად
- უკვე აახვია
- უზრდელი

- საიდან უნდა ქონდეს ზრდილობა სკოლაში მაგას აღარ ასწავლიან და ოჯახში ხო?!
- სადღაა ოჯახები
- ისე სკოლაზე გამახსენდა, ჩემი შვილი მე11 კლასშია და საერთოდ აღარ დადის გაკვეთილებზე
- ოჰ, არც ჩემი დადიოდა მაღალ კლასებში
- მერე ეს ნორმალურობაა?
- ივლის თუ არა მაგით არც დააკლდება და არც შეემატება

წარმატებული კაცი: -

ყველაფერი სხვანაირად შეიძლება დატრიალდეს ცხოვრებაში. ერთ დღეს გავაცნობიერე, რომ სკოლაში ძალიან ცოტა რამ მისწავლია. თითქმის არაფერი - უმაღლესში. ბევრ ადგილას მიმუშავია და ძირითადად ვითვისებდი ისეთ რაღაცეებს, რასაც ღირებულება არ გააჩნდა.
ერთ დღესაც გავაცნობიერე რომ მე უნდა მესწავლა...
მესწავლა, რადგან მადარებდნენ თაკოს და მალხაზს, გიოს და გვანცას, დათოს და ნატოს. მეუბნებოდნენ რომ ისინი ჩემზე უკეთესები იყვნენ...
მე უნდა მესწავლა. მესწავლა, რადგან ფოსტალიონ კასუმასავით უზარმაზარი ჩანათა ზურგით არ მეთრია და წელში არ გავწყვეტილიყავი...
მე უნდა მესწავლა... მესწავლა, რადგან ტრაქტორისტ მიტოსავით მაზუთში ამოგანგლულს არ მევლო...
უნდა მესწავლა იმისათვის, რომ სხვას კი არა, თავად წამომეკრა ვიღაცისთვის კეფაზე ხელი...
უნდა მესწავლა იმისთვის, რომ არვის სჭირდებოდა უდიპლომო სასიძო...
მე უნდა მესწავლა, რომ სხვას კი არ დავემცირებეინე, არამედ თავად შემძლებოდა სხვათა დამცირება და ზემოდან ყურება... დიახაც გაგიკვირდებათ და ასეა აგრესია აგრესიას შობს.

მახსოვს მე-4 კლასში, დამრიგებელმა სუფთა ფურცლები დაგვირიგა და გვთხოვა დაგვეწერა ვის რა გვინდოდა გამოვსულიყავით...
მეც დავწერე, რომ მინდოდა ვყოფილიყავი იურისტი...
მან ჩემი ჩანაწერი ხმამაღლა წაიკითხა და დამცინა. მითხრა, რომ ამას ვერსაოდეს მივაღწვდი, რადგან ღარიბი ოჯახის შვილი ვიყავი...
და მე ვსწავლობდი, ვსწავლობდი ჯიბრით, რადგან ამ დაცინვაზე შური მეძია...
ვსწავლობდი, ჯიბრს, შურს, პირველობას, ეგოიზმს, დაცინვას, დამცირებას, ყველაფერს იმას, რაც ადამიანური სისუსტეებისთვის ადვილი და მიმზიდველი იყო...

ერთხელაც არ მახსოვს ვინმეს ეთქვა, რომ უნდა მესწავლა მხოლოდ საკუთარი თავის კი არა, სამშობლოს გადასარჩენად...

უთხარით, უთხარით საკურ შვილებს, მოსწავლეებს და სტუდენტებს - ისწავლონ საკუთარი ერის და სამშობლოს გადასარჩენად !
თუ სამშობლო თავზე დაგექცა მარტო კაცი ვერ გადარჩები,

კომენტარები :

- ეჰჰ, ნეტა თქვენნარი ბევრი გვყავდეს

- ჩემი დამრიგებელი რო მახსენდება, ასეთი სურათი მიდგება თვალწინ, როგორ ჯდება ფანერის რკინისზურგიან სკამზე, რომლიდანც საფუარით ამოსული ცომივით გადმოდის უზარმაზარი საჯდომი, როგორ იხდის საწერი მაგიდის ქვეშ ჩუმად ფეხსაცმელებს და როგორ ეხატება სახეზე შვება. არც ერთი მოსწავლის წარმატება არ ანიჭებს იმაზე დიდ სამოვნებას, ვიდრე მისი მოჭერილი ჩამპალი ფეხსცმელებიდან იატაკზე დაწყობილი დასიებული ფეხები.

- ფუუ ეს რა დაწერეთ , სუნი მოვიდა...

-რომელ სკოლაში სწავლობდით? რა კოშმარია?

- აუუ ვიცი ვისზეც წერს, აჰაჰჰა, რა ზუსტია?!

- ჰა , დადეთ რომელი სკოლელები ხართ?

-არ დებენ

- გარდაცვლილია, ტეხავს

-ისე ჩვენში მკვდარს რო პატივს სცემენ . იმის მეათედს რომ ცოცხალს უფრთხილდებოდნენ, რაღა გვიჭირს

- სადღაა , აღარც მკვდარი ადარდებთ, კაი ხანია

- მასწავლებელი, მეტი რო ვერაფრით დაგამახსოვრებს თავს , ჰმ...

მხიარული კაცი:

ჩემს ნამდვილ მასწავლებელს პირველად მაშინ შევხვდი, ინდოეთში ჯგუფთან ერთად რომ ჩავედი. ერთ მწკრივად ვიდექით, გვერდით ჩაგვიარა, რამდენიმეს გამოელაპარაკა... მე ისე ჩამიარა, არაფერი უთქვამს და საკმაო მანძილითაც დამშორდა. ძალიან ნაწყენი დავრჩი: „ასე არ გამოვა“,- გულში ვფიქრობდი,- „ამხელა მანძილი რისთვის გამოვიარე, რომ ზედაც არ შემომხედოს? არა, ასე ვერ იქნება!“ ავნერვიულდი და გონებაში ძახილი დავუწყე: „გაჩერდი, გაჩერდი! გაჩერდი და შემომხედე! ერთი სიტყვა მაინც მითხარი, რამე უბრალო ფრაზა, თორემ ეგრევე შევტრიალდები და წავალ. აღარ დავბრუნდები! გესმის? გაჩერდი, თორემ უკანმოუხედავად გავიქცევი!..“
ჰოდა, ისიც გაჩერდა. ჩემგან ასე ორმოცდაათ მეტრში და სწრაფად მოტრიალდა. არავინ დაუნახავს, პირდაპირ ჩემთან მოვიდა და მკითხა: „შენ მეძახდი?“. ენა ჩამივარდა. თავი დავუქნიე.

ხელი ოფლისგან გაჟღენთილ პერანგზე დამადო და აი, ეს მითხრა: „ყოველთვის გახსოვდეს, რომ ეს სხეული არ ხარ. შენ სული ხარ. გესმის, რა გითხარი? კარგად დაიმახსოვრე, სული ხარ და არა სხეული. უნდა დამიჯერო, რასაც გეუბნები. თუ ეჭვი გაქვს, მაშინ შემამოწმე, გამომცადე. მაგრამ როცა მირწმუნებ და ჩემი მოწაფე გახდები, მერე ჩემს მიმართ ეჭვები აღარ ივარგებს.“

ცოტა ხანს კიდევ მაკვირდებოდა და ბოლოში მითხრა: „შიში უნდა დაძლიო. შიში უგუნურებაა, უნდა აჯობო.“

როგორც კი ცხოვრებაში შიში ოდნავ დავძლიე, ეგრევე ლაღი გავხდი, ხუმრობა დავიწყე. 2010-ში მასწავლებელი გარდაიცვალა, მაგრამ მაინც არ შემშინებია - დღემდე ხალხს ვაცინებ. როცა იუმორის გრძნობას დავკარგავ, ჩათვალეთ, რომ შიში დაბრუნდა ჩემში.

კომენტარები:

- აუუ რა ბედნიერებაა, ასე რო გაგიმართლებს
- ისე არ შეიძლება რო რაღაც ჯგუფი შეიქმნას და ჩვენც წამოვიდეთ თქვენთან ერთად მოვიაროთ ის ადგილები?

  მხიარული კაცი: - კი რა პრობლემაა, ჩემი წინა სტატუსი თუ ნახეთ იმ თვის ბოლოს არის დაგეგმილი ტური
- ფასი?

მხიარული კაცი: 1200 დოლარი

- ააა?1
- უი რა იაფია
- კი ასეთი ემოციების მისაღებას ნამდვილად მეტის გადახდაც ღირს.
- ამათ რო კითხო, დანარჩენი რელიგიის მიმდევრები ყველანი მწვალებლები არიან, თუ რას ეძახიან?
- ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება ეკლესიის დისკრედიტაციისათვის
- კაი რაა,ამაზე მეტი დისკრედიტაცია რა გინდათ, რასაც საკუთარ თავებს ესენი უკეთებენ.

(ეკრანზე ჩნდება ვიდეო, სადავ მამაო ქადეაგებს ძალიან კუთხური ლექსიკით (მაგრამ ეგ არაფერი), ამბობს ფრაზას - ,,ბევრი წიგნების კითხვა ადებილების''- ოhttps://www.facebook.com/saqartvelosimed1/videos/652899818848225/UzpfSTEwMDAwMTYxMzk1MDc2MToyOTE2MTY0Njc4NDQ3MzAy/

კომენტაებში:

- ქრისტეს გამყიდველებო!! თქვენთვის ხო არანაირი წმინდა არ არსებობს, სოროსელებოო!
- კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კაცი როგორი სიყვარულით ელაპარაკებაა მრევლს
- დიახაც ადებილებს, ცოტა გინახვთ , ბევრწიგნწაკითხული დებილი? ურწმუნო დებილი
- აუუ ესნი ვეღარ წავშალე ერთი ახლა უნდა დავერიო

(ფეისბუქის ეკრანზე ჩნდება პატარა ბავშვის ფოტო, რომელიც კლინიკაშია გადაღებული).

- ორი წლის ბავშვს დაუდგინდა მწვავე ლეიკემიაა, ძალიან გთხოვთ გააზიარეთ. დავეხმაროთ პატარას გამოჯანმრთელებაში, ოჯახს არანაირი სახსრები არ გააჩნია

(ეკრანზე ჩნდება ანგარიშის ნიმერი და ტელეფონის ნომრები)

კომენტარები:

- რატო უნდა ვენდოთ ამას

- სხვათაშორის ძალიან ბევრმა აფერისტმა იშოვა ასე ფული
- ამიტომაც არ ვურიცხავ არასდროს სანამ არ გავარკვევ.

(სცენაზე შემორბის მოხუცი, შარვლის ტოტები აკაპიწებული აქვს).

მოხუცი მეზღვაური :

ხალხო. რაღაც ხდება, ხალხო!!! მომისმინეთ!!!
ლიფსიტები შემომეხვიენ , აი ასე . წრეს მიტყავდნენ, ეს ძალიან ცუდის ნიშანია,!! ძალიან ცუდის!! პატარა როცა ვიყავი ერთმა მოხუცმა მეზღვაურმა თქვა , ფრთხიად იყავით , ლიფსიტები წრეს გვირტყავენო, მაშინ ვერც ვერაფერი გავიგე, რატომ უნდა ვყოფილიყავით ფრთხილად, იმ ბიჭის ტოლი ვიქნებოდი, ბოდიში რომ მომიხადა, 6-7 წლის. ხო გახსოვთ, ბოდიში რომ მომიხადა , მაგის ტოლი ვიყავი .

დილას, როცა გონს მოვედი, რამდენიმე კაცი მადგა თვზე... იმ ღამეს ზღვა მოულოდნელად გადმოსულა ნაპირზე და ჩვენი ქოხი თან წაუღია, მამამ მხოლოდ ჩემი გადარჩენა შეძლო, დედაჩემის ძებნაში თვითონაც სამუდამოდ გაყვა ტალღებს.

დამიჯერეთ!! ეს ტყილად არ ხდება!! ლიფსიტები რო წრეს გვირტყამენ ფრთხილად უნდა ვიყოთ დამიჯერეთ შემომხედეთ!! თქვენ გელაპარაბით!მე შეიძლება ქალაქში ვერ მივხდე ბევრ რამეს და ვერც გავიგო, მაგრამ, ზღვის ყველაზე კარგად მესმის, დამიჯერეთ, რაღაც გვიახლოვდება, რაღაც ძალიან დიდი და ცუდი ... ფრთხილად იყავით! გემუდერებით მომისმინეთ!რატო არ მისმენთ!! ერთხელ მაინც შემომხედეთ თქვენ გელაპარაკებით!!! *(გარბის უკან).*

კომენტარები:

- აუ ამ მოხუცმა ძაან ტვინი წაიღო
- ნუ დებთ რა ყველა სისულელეს რასაც ყურს მოკრავთ
- რა შენი საქმეა რასაც მინდა იმას დავდებ ჩემს კედელზე
- თავხედი
- თავხედიც ხარ და მეტიც, დეგენერატო

ფეისბუქის ეკრანზე ჩნდება ყველის მიმზიდველი მადისამღძვრელი ფოტო, წარწერით - ,,ოქროს ყველი''.
Clawson Stilton Gold, ანუ ოქროს სტილტონ კლოსონი 100 გრ 100 დოლარი ღირს. საჭმელი ოქროთი გაჯერებული. ყველს წვეულებებისათვის, შეიხები და მსოფლიო

დონის ვარსკვლავები ყიდულობენ. ეს ყველი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ყველი იყო მანამ, სანამ ინგლისის საგრაფოში (სომერსეტი), სადაც ყველის ფესტივალი ტარდება, ახალი მსოფლიო რეკორდი სერბულმა ყველმა პულემ არ დაამყარა. ამ ყველის 1 კილო რეკორდულ ფასად — 1275 დოლარად გაიყიდა.

საბჭოთა წლებში. იყო თურმე ასეთი კვლევა, მარნეულ -,ბოლნისის, უფრო კი იალაო , გომარეთის და მთისძირის სოფლებში ბალახი ოქროს მიკროელემენტებს შეიცავდა და ეს გადადიოდა რძეში... ანუ რძე ოქროს შეიცავდა...

კომენტარები:

- ანუ რას ნიშნავს რომ ოქროს ყველიც ჩვენია?
- ყველაფერი ჩვენია არ იცით? თუ ახლა გაგეთ?
- რა ყველაფერი?
- ფოლადი, ღვინო, აბრეშუმის ძაფიც კი ქართველებმა გამოიგონეს, რამდენ სიბრძნეს ფლობდა ჩვენი წინაპარი და სად წავიდა ეს სიბრძნე?
- ნეტა თქვენ შიგ არა გქონდეთ, ძაფი არა ანძა?!
- რა ვიცი ახლა კი სანთლით უნდა ეძებო ერთი ჭკუისსაკითხავი კაცი აღარ დარჩა
- გიკვირთ? ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა, ან მოკლეს , ან გააქციე, ან დედა უტირეს, ისე რო აღარც ცოცხლებშია და აღარც მკვდრებში.
- მოვა ისევ არჩევნები, დავაფჩენთ პირს ნაპირზე გადმოსროლილი თევზებივით. ვის მივცეთ ხმა? ვეღარ შევიგნეთ რო ერთ წრეზე ვტრიალებთ და ვტრიალებთ, ვტრიალებთ და ვტრიალებთ.
- გეტყობათ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით და ვის აძლევთ ხმას?
- ვის უნდა მივცე? არის ვინმე სანდო?
- კაცი რო ერთხელ მოგატუებს , ის აღარ არის ახლოს გასაკარებელი და ..ორჯერ, სამჯერ, ათჯერ ოცჯერ მოგვატყუა ერთი და იგივე ხალხმა და მაინც ვერ შევიდა ჩვენს ტვინში რო, არ უნდა ვენდოთ, ვენდოთ კი არა ჯერ ძველ დანაშაულზე უნდა მოვთხოვოთ პასუხი
- თქვენ გასაგებია რომელ პარტიასაც უჭერთ მახარს
- რომელს?
- ყველაფერი გასაგებია, არ გინდათ ახლა, პირველივე ფრაზაზევე გიცანით , უბრალოდ დაგაცადეთ რო ბოლომდე დავრწმუნებულიყავი
- ეეჰ, წყლის ნაყვაა რაა, მეც ვნახე ადგილი რომ ვინმეს გული გადავუშალო.

- ძალიან ცდებით თუ აქ ათასობით ადანისთვის გულის გადაშლას აპირებთ! ჰაჰაჰაჰა!!!!
- კაი რა სიაფანდია ვიღაც არის ჯერ პროფაილს შეხედე, ბრეტ პიტის ფოტო რო უყენია, რო ვინმე ,,სიმპატიჩნი'' წარმოიდგინო, საკუთარ სახეს რო მალავს კაცი
- რა იცი რო კაცია?
- ჰო რა ვინც არის, მუტანატი ჰაა!!!
- ოქროს ყველი მაგან შემოაგდო არა?
- არა , პროსტა დაშეარებული ქონდა
- ხალხო სულ გამოქლიავდით, რა დროს ოქროს ყველია , ქვეყანა თავზე გვემხობა ხალხს ფხვნილის ყველი ენატრება
- შეხედეთ მაგ სტატუსს ვინ წერს და მიხვდები ვისიანებიც არიან
- ვაი თქვენს პატრონს!

პატრიოტი კაცი:

ერთმა ვითომ დიდმა, თანამედროვე ფილოსოფოსმა სოციალურ ქსელში სკანდალური სტატუსი გამოაქვეყნა. მაგრამ მალევე წაშალა, მიხვდა რაც ელოდა, თუმცა მე მოვასწარი და - ,,აქედან ვერ წაშლის''. ნახეთ რა რას წერს . ფუ ამის პიდარასტი დედაც.

ფილოსოსფოსის პოსტი

„ამ ტექსტით მინდა მივმართო ლიბერალური ფასეულობების და საღი, თავისუფალი აზროვნების საქართველოს ყველა მოქალაქეს. დროა ყველაფერს ღიად დაერქვას სახელი! ილუზიებში ნუ იცხოვრებთ, მეგობრებო! დღეს მართმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვითონ თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტარს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში, სწორედ – მართლმადიდებლობას, ამ შავბნელ რუსულ იმპერიალისტურ იდეოლოგიას. სწორედ მართლმადიდებლობა და არა რომელიმე ორგანიზაცია ან პიროვნება. არის მთავარი წინაღობა საქართველოსი დასავლური ფასეულობების საბოლოოდ დამკვიდრებისა. და ყველა მისი მიმდევარი სინათლის და პროგრესის ცნობიერი თუ გაუთვიცნობიერებული მტერია. ამიტომ ჩვენ ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიბრძოლებთ ბოლომდე და ყველა კანონიერი საშუალებით, სანამ საბოლოოთ არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილურ იდეას

საქართველოში, ამ სიბნელის, აგრესიის და უძრაობის დასაყრდენს მართლმადიდებლური რწმენის სახით''

პატრიოტი კაცი:

მოკლედ გავიგე ვინც ბრძანდება და სადაც ბრძანდება, ერთ საათში ვიკრიბებით მაგის სახლთან, დადას მ------თ. ვისაც გინდათ შემომიერთდით, მისამართს მოგწერთ პირად მესიჯებში

კომენტარები:

- მომწერე
- მეც ჩამიგდე რა თუ ძმა ხარ
- საათი?
- საათი და მიასამრთი პირადში ვინც ჩემს გვერდით ხართ, ამას დღეს ჭკუა უნდა ვასწავლოთ
- ძმა, მეც ჩამიგდე, ხო არ დაგავიწყდი
- უკვე ოთხმოცდა სამნი ვართ, ჰაა შენი ბუნდღა არ დარჩება.

ახალგაზრდა გოგონა : - აქამდე თავს ვიკავებდი ამ წერილის გამოქვეყნებისგან ,

ახლა უკვე ყველანაირი შიში დავძლიე და დასაკარგიც აღარფერი

მაქვს, ვაქვეყნებ წერილს რომელიც ციხიდან გამომიგზავნა,

ვიინ? ძალიან გაინტერესებთ? რა მნიშვნელობა აქვს ვინ.

ეს წერილი დაწერა ადამინმა -ადამინებზე და მე თქვენთვის

ვდებ აქ ადამიანებო , თუ ისევ შეგრჩათ სახე. ნამდვილი ამბავია

და მაინც მოარიდეთ ბავშვები..

პატიმარი :

„ საშინელი ჩახუთულობაა,20 კაციან საკანში 120 კაცია. ზაფხულში ტემპერატურა 40 გრადუსამდე ადის. პატიმრები ერთი მეორეს მონაცვლეობით იძინებენ, პარაშა საშინლად ყარს. არ გვაქვს თეთრეული და ლეიბები. ანტისანიტარიის გამო გაჩნდნენ ტარაკნები. თითქმის ყველას მუნი და სოკოვანი დაავადება აქვს. ასთმიანები ერთი-მეორეს მიყოლებით იხოცებიან. ჩემს გვერდით პატარა ბიჭია სახელად ირაკლი,

ამბობენ კანონიერი ქურდის შვილია.ყოველ დღე ბადრაგი შემოდის, სარგის გალდავა განსაკუთრებულია თავისი სისასტიკით და ტირანიით, ის ირაკლის გვარს ყვირის, მერე სახეში აფურთხებს და ეუბნება-„თქვი, რომ მამაშენი ქურდია და ბოზი, თქვი შე ნაბიჭვარო, თორემ ძალით გათქმევინებთ!“-და ურტყამს, ურტყამს უმოწყალოდ.ნებისმიერი ჩვენგანი, რომელიც ადგილიდან გაინძრევა იგივე ბედს გაიზიარებს, ამიტომ არავინ არ ერევა.ერთი კვირის წინ ირაკლის კეფაში ურტყეს, სანამ უგონოდ არ დაეცა. დასისხლიანებული სხეული ბადრაგმა ცალი ფეხით გაათრია...ერთი კვირის თავზე ირაკლი დაბრუნდა, ოღონდ კეფის ძვლის გარეშე...ეგზეკუცია გრძელდება. ციხის საავადმყოფოს ექიმები კატეგორიულად უარყოფენ პატიმართა ცემის ფაქტებს, და მრავალრიცხოვან ნაიარევს, დაცემად აფასებენ. კიდევ ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი რუსი გრიშკა სულ რაღაც 18 წლის იყო, ის გუშინ გარდაიცვალა. აქ სარკის ქურდობაზე მოხვდა. ცოლი ახალი მოყვანილი ყავდა და საჩუქარს ვერ ყიდულობდა. კიკეთში ერთ-ერთი სააგარაკო სახლიდან სარკე მოიპარა, მე მეუბნებოდა, ნინოჩკა ისეთი პრანჭიკელაა, სულ სარკეში იყურებოდა და მეც გადავწყვიტე სანუკვარი ნივთი მეჩუქებინაო, გრიშკას ქურდობაზე 7 წელი მისცეს, მაგრამ ერთიც ვერ აიტანა..ყოველ საღამოს ციხის უფროსი აშიშვლებდა საბრალო ბიჭს, მერე ასე შიშვლად კორიდორებში ატარებდა და თან „პუტინ სუკინ სინს აყვირბდა“, გრიშკა, ნელ-ნელა საკუთარ თავში ჩაიკეტა .. ერთ-ერთ ასეთ გაყვანაზე გრიშკამ საიდანღაც ბოლტი ამოიღო და ბადრაგს ყელში ჩაარჭო, ბიჭი ადგილზე დახვრიტეს... გაშიშვლება ბადრაგის საყვარელი გართობაა, ალბათ იგივეს განიცდიდნენ ბუხენვალდის და ოსვენციუმის პატიმრები. მაგრამ ის ტვინგადატრიალებული გერმენელი ნაცისტები იყვნენ ებრაელთა წინააღმდეგ, აქ კი ქართველი ქართველს კლავს, თუმცა სადიზმს ხომ ეთნოსი და წარმომავლობა არ გააჩნია.სიშიშვლით წამება, ხომ დასახიჩრებული გონების სიამოვნების აპოთეოზია. ცოტა ხნის წინ,ერთ-ერთ პატიმარს მის მამაოსთან შეხვედრა ვთხოვე.რაღაც შეკითხვები გამიჩნდა... მართლაც მამაო მოვიდა, ერთი-ორი წინადადების მერე მკითხა, აქ მოსვლისთვის ვინ გადამიხდის ხოლმეო?-მე ვუთხარი , რომ არავინ მყავს, ის ადგა და გავიდა... საჩივრის წერილის გამო, მცემეს, ბულორდავამ, დავით კაკუკიძემ , ზურაბ ზიადაძემ, ორ ადგილზე გამიტყდა თავი და დამიზიანდა ხერხემალი. ციხის უფროსის კაბინეტში ამათრიეს, ბულორდავამ მითხრა: აქ მე ვარ ყველაფერი, ექიმიც, მოსამართლეც, ჯალათიც, როცა ამ დაზიანებებისთვის ექიმს მომთხოვ, მოვალ და ხერხემალს ამოგაცლიო" საჩივარი დავხიე... აუტანელი პირობების გამო, პაშა თუმანიანმა სხვა პატიმრებთან ერთად საჩივრის წერილით სახალხო დამცველს მიმართა. ისინი აპროტესტებდნენ იმას, რომ ციხის ტელეფონის გამოსაყენებლად და მონო ბარათების საყიდლად ფულს

კორპუსის უფროსს, გიორგი ბულორდავას აძლევდნენ, რომელიც 5-ლარიან მონო ბარათს 20 ლარად ყიდის.ტელეფონით რომ ვისარგებლოთ, ფული უნდა ავაგროვოთ. ამ ფულს ხშირად უბრალოდ გვართმევენ, ჩაატარებდნენ ჩხრეკას, ნახავენ ფულს, იძახიან „ობშიაკის" ფულიაო და მიაქვთ. მერე თანხის აგროვება ისევ თავიდან გვიწევს. დღეს ასაკოვანი ბიზნესმენი ლავრენტი ჟღენტი სასტიკად სცემეს. იგი კარცერში უჭმელ-უსმელი 4 დღე ჩასვეს, მხოლოდ იმის გამო რომ პრესა მოითხოვა. მე დღეს პირველი წერილი მომივიდა.კონვერტი გახსნილი შემომიტანეს. წერილი ვინმე მაიკისგან არის, ასე მწერს," გემეგობრები და გიშველიო, ჩვენთან ღმერთი დიდი ხანია აღარ არის და იმედია მანდ მაგას მალე მიხვდებიო". ციხის მაღაზიაში პროდუქტებს ხუთმაგი ფასი აქვს, პატიმართა ოჯახის წევრები სახლებს ყიდიან მათ გამოსაკვებად,რადგან გარედან ვერაფერს შემოიტან და იძულებული ხარ იმ ფასად იყოდო, რასაც ციხის ადმინისტრაცია გთავაზობს. ყველაზე ძალიან მთვრალი ბადრაგის გვეშინია, თუ რაიმე ქეიფი და ღრეობაა, უკან დაბრუნებულები აუცილებლად შემორბიან და განურჩევლად ყველას გვირტყამენ. საკანში რამოდენიმე ტუბერკულოზიანი ბიჭია, გუშინ, მორიგი ცემის დროს ერთ-ერთს გია დოლიძეს გადავეფარე. ბადრაგმა ტუჩი გამიხია, მერე მითხრა -ახლა მიდი და შეიხორცე რითიც გინდაო საბრალო გია გამთენიისას გარდაიცვალა, ის მხოლოდ 24 წლის იყო...ალბათ იგივე ბედი ეწევათ სხვა დაავადებულებსაც, რაც ყველაზე ცუდია, ამაზე, დიდად გული არავის დასწყდა, ჭირიანები სჯობს დროზე მოვიშოროთ სანამ რამეს გადაგვდებენო.-იქნებ ღმერთი მართლა არ არსებობს? მივიღე მაიკის მეორე წერილი და მცირე ამანათი.ჰიგიენის საშუალება და სიგარეტი.ეს ჩემი პირველი ამანათია. გვერდზე საკანში კანონიერი ქურდები ყოფილან, ისინი ძირითადად ერთმანეთში კამათობენ, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ მათგან ერთ-ერთს დატოვებენ, იმას ვინც „მეფე-ვირთხა" გახდება. და მერე რა რომ მეფე? ის ხომ მაინც ვირთხაა? ამბობენ მაგათი „რაზბორკების" სეირს მთელი საქართველო უყურებსო, „ჭირსა შიგან გამაგრება"- აქ არ მუშაობს, ყველა ერთმანეთის მტერია, ამიტომაც ერთმანეთის გაუტანლობაა. თუ ერთმა დაარღვია შიდა განაწესი, ბადრაგი შემორბის და ყველას სცემს, მეორე სერია კი კარის ჩარაზვის შემდეგ იწყება, როცა პატიმრები ერთმანეთსაც აღარ ინდობენ, ბადრაგი კი გარედან ქილიკობს. ერთი კვირის წინ ახალი პატიმარი შემოიყვანეს, ამბობენ რომ საკუთარ ქორწილში დაიჭირეს, იმიტომ რომ რესტორანში სხვა სუფრის წარმომადგენელს ეჩხუბა ის კი კუდ-ელი ყოფილა. გელას ყოველ დღე ადგებიან თავზე და ცოლის სურათებს ცხვირთან უტრიალებენ, მერე ეუბნებიან- შენ მაინც კარგა ხანი არ მოგიწევს და ჩვენ მოვტყნავთო გელამ ვერ მოითმინა და ბადრაგს დაარტყა. ის სასწრაფოდ ციხის უფროსთან აიყვანეს, იქიდან მხლოდ ერთი საათის მერე დაბრუნდა , საშინელი სუნი ასდიოდა. ზევით, უფროსის ოთახში ხუთი

ბადრაგი აშარდავდა სახეზე. გელამ ფრჩხილებით ვენა ამოიკაწრა, სისხლისდენა ერთმა ექიმმა პატიმარმა შეუჩერა. ამანათებს უცხო მეგობრისგან თითქმის ყოველ თვე ვიღებ.ეს ძირითადად წიგნებია, ნიცშე, კანტი, ჰეგელი, ეზოთერიკა... დღეს ციხის უფროსს შვილი გაუჩნდა, ძალიან დათვრა და მთელს კორიდორში ყვიროდა, ის „პლასტმასის იხვი“ მომიყვანეთ ჩემი გიორგის სახელზე, მაგ სილიკონით გაბერილ ტუჩებში უნდა მივცეო... მთელი ციხე ჩუმად იცინოდა... ახალ წელს სამინისტროდან მთვრალი დელეგაცია გვეწვია რამოდენიმე კაცი შამპანურებით „კარმუშკიდან“ გვწუწავდა და გვიყვიროდა, „ბოზებო ეს თქვენი ბოლო ახალი წელიაო“ დღეს ადვოკატთან შეხვედრის მერე სცემეს და თითქმის ბოლომდე აახიეს ყური ერთ ახალგაზრდა მამაკაცს, ნუგზარი, რახანია იბრძვის იმის დასამტკიცებლად, რომ ის კი არ აუპატიუერებდა ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ცოლს, არამედ ისინი დიდი ხნის საყვარლები არიან.თურმე ნუგზარს ქმარი სახლში დაადგა, როდესაც ის და მისი საყვარელი სექსით იყვნენ დაკავებულები. ჩინოსანმა ცოლს ხელით ანიშნა გადიო, შემდეგ იარაღის ტარით ცემა ნუგზარი, ხოლო ცოლს ჩაცმა უბრძანა , მერე კი ტანსაცმელი თავად დაახია და პოლიცია გამოიძახა. ნუგზარს ბრალად გაუპატიურება ედება, მისი ცოლი კი კვლავ ხელი-ხელ გაყრილი საკუთარ ქმართან ნაირ-ნაირი ჟურნალებიდან იმზირიბა და წერს რა მოსიყვარულე ოჯახი აქვთ. ასეთი ისტორია მრავლად არის, ასე ერთი ჯურნალისტი, მაღალჩინოსნის ცოლი ტელეფონზე ეარშიყებოდა ახალგაზრდა მამაკაცს, ქმარმა „პრასლუშკაზე“ დასვა, ცოლი კარგა გვარიანად მიბეგვა, პრესისთვის კი ჭორი გაავრცელებინა , ვიღაც მემუქრებოდა ტელეფონზეო. კოტე ახლაც ზის, ირწმუნება , რომ ის ქალი თვითონ დაუკავშირდა და იმასაც ეუბნებოდა, ქმარი იმპოტენტი მყავს და იმიტომ ვღალატობო. დღეს მაიკმა სატანისტური ბიბლია და სიგარეტი გამომიგზავნა, არის ამასი რაღაც საინტერესო.... საკანში რამოდენიმე ხანში შესული მამაკაცია, მათ განსაკუთრებით უჭირთ სუნთქვა.ალბათ ვერცერთი ვერ მიაღწევს „სვაბოდას“ ყველაზე თავმოყვარე პატიმრებს ხშირად „სირცხვილის კორიდორებს „ უწყობენ,ბადრაგი დერეფანში მწკრივში დგება და პატიმრებს ორი მხრიდან გულის წასვლემდე სცემენ. არც, პრესა, არც ტელევიზია, მხოლოდ რადიო „აფხაზეთი ხმა“, სადაც მესიჯები გადის პატიმრებისთვის და რუსული შანსონიც არ იკრძალება....ალბათ ეს რადიოც ამათია.. დავუმეგობრდი დათოს, კარგი ბიჭია, განათლებული, თავისი ცოლის ამბებს მიყვება, როგორ უყვარდათ ერთმანეთი, მერე მშობლები არ აძლევდნენ ერთად ყოფნის საშუალებას, და ბოლოს ხუთწლიანი დავის მერე გაიტანეს თავისი სიყვარული. დათო მომიყვა, როგორი ლამაზი ქორწილი ჰქონდათ, როგორ ელოდებოდნენ პირველ ბავშვს, მაგრამ მოდელირებული ქრონიკის დროს ხატიას მუცელი მოეშალა...დათოს და ხატიას პატარა მაღაზია ჰქონიათ, საგადასახადომ

გადახარჯვაზე დაიჭირა და 5 წელი მიუსაჯა. დათოს ძალიან ენატრებოდა ხატია, და როგორც იქნა პაემანი დაანიშნინა. წინა დღეს საშინლად ნერვიულობდა. ბადრაგის მორიგ შემოსვლაზე, როცა ყველას პროფილაქტიკისთვის ურტყამენ და ცემენ, სთხოვა ხვალ ცოლთან მაქვს პაემანი და ნუ მცემთო...დათოს ჯერ თავში ურტყეს, მერე საკნიდან გაიყვანეს და გვიან ღამე უკან შემოაგდეს, ბიჭს ტუჩი უთრთოდა, ჩემს ყურთან ახლოს მოიწია და მითხრა, დროზე გადი აქედან, აქ ღმერთი არ არსებობსო. დილით ხატია მოვიდა, სანამ ნაცემ-ნაბეგვი დათო ცოლთან მივიდოდა, მანამდე ამბალივით ბადრაგმა ხატიას ყურში ჩასჩურჩულა: გუშინ ჩვენ ვხმარობდით და დღეს შენ უნდა გიხმაროსო? ხატია გაიქცა... ცოტა ხანში დათომ შარვალზე თავი ჩამოიხრჩო...“ „ოდეს დგება ჟამი მძლავრობისა ხალხი ძრწის ძლიერთა წინასე. ნუ ანგრევთ მათ ცხოვრებას! ნუ დასცინით მათ ცხოვრებას! ნუ დაამწუხრებტ სხვის ცხოვრებას და თქვენიც აღარ დამწუხრდება“

კომენტარები:

- ეს მხატვრული ნაწარმოებია? არც ისე ნიჭიერად არის დაწერილი
- სად წავიდა ეს ხალხი? აქ ხო კონკრეტული სახელები და გვარები წერია?
- არ გინდათ რა ეს დადგმული სცენები და პატიმართა რომანტიზირებული წერილები. ეხლა ხო ხართ კმაყოფილები?! გიბრუნდებათ ქურდული მენტალიტეტი ?! რუსული ესტრადა და რავი თქვენი გემოვნებაში დიდად ვერ ვერკვევი ,ღმერთმა დამიფაროს რო ვერკვეოდე.
- მკვლელებოო !!! თქვენ გაწყდით ერთ დღეს !!!
- ვისაც კიდე რუსეთი და საბჭოთა კავშირი გინდათ და მისტირით წადით რაა, ვინ გიჭერთ!!!, თქვე მართლა დაუნახავებო!!!!

მომაკვდავი კაცი:

ჩემო ფბ მეგობრებო !
ჩემო ქართველებო!

პირველად ცხოვრებაში მინდა ყველას სიყვარული აგიხსნათ.
ახლა მე სიკვდილს ვებრძვი შვეიცარიის ერთ ერთ კლინიკაში. შეიძლება ხვალინდელი დილა უკვე აღარ გამითენდეს და ამიტომ მინდა მოვასწრო და ყველას მოგეფეროთ და ყველას მოგიბოდიშოთ, შემინდეთ ყველამ ვისაც ვერ მოგწვდით და სათანადოთ ვერ მოგეფერეთ.

სხვა განზომილებაში გადასვლისა არ მეშინია.
ვიცი იქაც მრავალ მოკეთეს შევხვდები და მათი ლოცვა გამინათებს სასუფეველის

გზას.
მაგრამ “ეს განშორება მე თქვენთან მიმძიმს თორემ სიკვდილი რაა?.სულის გაყრაა ცოდვილ სხეულთან.”

ორი მიკრო ინფარქტი გადავიტანე 1 კვირაში და გული ეხლაც ამოსკდომას ლამობს, მესამეს ვერ გადაიტანო გამაფრთხილა ექიმმა.

ვერ მოვერიე გულს,
იმ პატარა გოგოს სიყვარული ჩემზე უფრო ძლიერი ყოფილა.

მიღალატა….
თანაც ვიღაცა კუბელ კუნთიან სუნიან და ძუნძგლიან მუაშასთან.

ცოცხლად დამმარხა.

მაინც ვაპატიე და ბევრი მოვეფერე, და უძღები შვილივით გულში ჩავიკარი.
19 წლით უმცროსი იყო ჩემზე.
დაქალივით მოვუსმინე და მშობელი მამასავით გავუგე.
სახლში მოვიყვანე და მოვეფერე. 5 დღეზე მეტი ვერ გაძლო ველურმა ჩიტმა ოქროს გალიაში..

რომ ვაპატიე,- მაჯახა
კი მარა რად მინდაო შენი პატიება, მე კარგი ცხოვრება მინდაო, შუშის თვლები ქონდა კარი გაიჯახუნა და იმასთან სულ კუნტრუშ კუნტრუშით წავიდა. ვითომც არაფერი.

სასიკვდილოდ დამტოვა….

სულ მარტოდ მარტო.

მე არ მოვკვდები არა და არა.
ჩვენ მეომრები ბრძოლებში ვკვდებით, და ისიც მხოლოდ ძალზე დროებით.

ანდერძი

სასწრაფოდ ვინმე შეიყვარეთ სანამ სული გიდგათ,
დროს ნუ დაკარგავთ, მაგრად შეიყვარეთ.
მერე რა მოხდა თუ:
პატარაა და ვეღარ დაგიტია

კომენტარები:

- აუუ ძაან შემეცდა
- მეც
- მეც
- რა შეგეცოდა თავისი ბრალია ყველაფერი

(ეკრანზე ჩნდება ბევრი ცრემლიანი სმაილი).

ხელმოცრული ლექტორი:

ნააღდგომევს მამაჩემის ფოტოები აღმოვაჩინე - ძველი, დაზიანებული, რომელიც ძალიან დიდი ხანია არ მენახა. გუშინ აღვადგენინე... 17 წლის წინ გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. ჟორას ეძახდნენ, ისე გიორგი ერქვა. მთელი ცხოვრება სატვირთო მანქანის მძღოლი იყო; ძალიან უბრალო, ენაკვიმატი და ხუმარა კაცი, რომელიც ისე მოულოდნელ დროს ხუმრობდა, ხშირად ვერ ვიგებდით როდის სიმართლეს ამბობდა და როდის არა! ფეხბურთი და კინო უყვარდა. 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მთელი დანაზოგი შავ-თეთრ "ბერიოზკაში" მისცა და პელე პირველად მაშინ ვნახე... ბეკენბაუერ-ბენქსებიც! ყველაფერს ნახულობდა რაც ეკრანზე გამოდიოდა; განსაკუთრებით დოვჟენკოს "სჩორსი" მოსწონდა და ფილმები ჯეიმს კეგნის მონაწილეობით. 7 წლის ვიყავი, რატომღაც გერასიმოვის "წყნარი დონის" სანახავად რომ წამიყვანა (მგონი ელენა ბისტრიცკია მოწონდა, აკსინიას როლში და მეც მაჩვენა...). ბევრი რამეში ვერ ვთანხმდებოდით, განსაკუთრებით სტალინის გამო, მაგრამ ძალიან გაბრაზებულს მაინც შველოდა ხუმრობა და იუმორი... ჟორა (გიორგი) ბუხრიკიძევ, თუ ოდესმე, სადამე ისევ შევხდებით, თანახმა ვარ ასჯერ წამოგვყვე "წყნარი დონის" სანახავად!!!
ფოტოზე: მარჯვნივ, დოინჯშმოყრილი, ულვაშით. გადაღებულია წაღვერში, 1960 წელს; მე ჯერ არ ვარსებობ)))

(ეკრანზე ჩნდება ბევრი კოცნის და გულების სმაილები).

ელიტარული მხატვარი:

რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილი VR-ზე იმუშავებდა... პირველი ქართველი მხატვარია ვინც VR-ის ნამუშევრით მსოფლიოში განთქმულ კოლექციაში მოხვდა... იყურეთ წინ და წინ აყურებინეთ თქვენს შვილებს. შეაქციეთ ზურგი: ვასაძეებს, კოკრკოტებს, სიხარულიძეებს და ყველაფერს რაც სუფრას და ტყლაპს ვერ სცილდება!! მოიგეთ მომავალი თქვენი შვილებისთვის...

კომენტარები:

-აუუ რა მაგარი ამბავია?!

- გილოცვათ!!!

- გილოცავთ

- ეს ერთი და სხვა მრავალი

(ბევრი სიყვარულის სმაილები ეკარანზე)

პოეტი ქალი:

ამ წუთას ვიღაცამ გაიარა ჩემს ფანჯარასთან, მისნაირი ჟაკეტი ეცვა, მბზინვარე, ღილებიც რომ უბზინავს ისეთი. სევდა მომერია. მხოლოდ ძალიან განსაკუთრებულ დღეებში იცვამდა იმ კაბას და ჟაკეტს, ახლა რომ ვნახო სადმე ძველ კარადაში ნოსტალგიისგან მოვკვდები, სუნამოს ვარდის სუნი ჰქონდა, თვითონ ახლად შემოსული იასამნების, ახლად შეკაზმული ტყემლის, მაყვალში ჩადებული წიწილის, ჩემი მონატრების, სოფლის სიმწვანის.აბრეშუმის ჭიის....გაიზრდება ჩემი შვილი და არ ექნება ეს სევდა- სოფლის ბებიის მონატრების სევდა. და რა ბედნიერია ყველა, ვისაც ეს სევდა აქვს....

(სცენაზე ისევ შემორბის მოცუცი მეზრვაური , აღელვებული სათქმელს ძლივს უყრის თავს)

მოხუცი მეზღვაური:

(ხელში ფურცელი უჭირავს და აფრიალებს). მომისმინეთ ხლხო! ახლა მაინც მომისმინეთ!!! ჩემი თუ არ გჯერათ!!! სანაპაროსკენ რო ვბრუნდებოდი... ასე 50 წლამდე ქალი , შვილად რომ შემეფერება იმ ასკის და რამდენიმე ახლგაზრდა , გოგოები და ბიჭები, ერთად მოდიოდნენ და რაღაც ფურცლებს ურიგებდნენ ხალახს. , მივედი, მინდოდა ლიფსიტების ამბავი მათთვისაც მომეყოლა.... და ეს ფურცლები შემომაჩეჩეს ხელში, ჯერ ეს წაიკითხეთ და სხვებსაც გადაეცითო!!!

(გადაყრის სცენიდან დარბაზში, ფურცლებს, მაღლაც აყრის)

- რა ხდება?! გამაგებინეთ! რა ხდება? მე მარტო ზღვის ამბები ვიცი ! სხვა არაფერი გამეგება!!! რა ხდება?!!!

(კომენტარების ავტორები ერთხმაში იწყებენ კითხვას, დარბაზიც აყვება)

- ვინც ხელი აიღოს თანამოძმეზე !!!!
- წყალი უნდოდეს და -არ მიეწოდოს!
- ცეცხლი უნდოდეს და უხეცხლოდ დარჩეს!!!
- შვილი ენეტრებოდეს და - ვერ პოულობდეს!!!
- შენ დაბრუნება უნდოდოეს და - ოჯახი გაუნადგურდეს!
- სიცოცხლით ტკბებოდეს და - ცხოვრება გაუმწარდეს!!!!

(ეკრანზე ჩნდება კადრები თბილისის ომიდან)

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება.

ფეისბუქის ეკრანზე ჩნდება მომღიმარი , ხანშიშესული ქალის ფოტო

კომენტარიები:

- კიდევ ერთი ემიგრანტი ვერ ეღირსა საკუთარ ოჯახში დაბრუნებას, გუშინ საბერძნეთში, სალონიკში, ერთ-ერთ ოჯახში აღოაჩინეს ხუთი დღის გარდაცლილი ქალბატონი, ნათელა გვიმრაძე, რომელიც ლოგინად ჩავარდნილ , მეტყველაბადაკარგულ მამაკაცს უვლიდა. გვამის გახრწნის შედეგად სუნმა მეზობლები შეაწუხა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო პოლიცამ მომხდარის შესახებ. ამ და სხვა მიზეზების გამო ქალბატონი ნათელას ფერფლს, ზეგ ჩამოიტანენ მის მშობლიურ ქალაქში და დაკრძალავენ.

კომენტარები:

- და ოჯახმა, რატო არ მოკითხა? დავიჯერო სამი ოთხი დღე რო არავის შეეხმიანა?!
- მანდ სხვა ამბავია
- რა ამაბავია?
- რა ამბავია და უნდოდა საწყალს დაბრუნება და , -არ ჩამოხვიდე , არ ჩამოხვიდეო
- დამპლები! მარტო მონებად რო უნდათ საკუთარი დედები და ცოლები
- არა, მანდ კიდე სხვა ამბავი იყო?
- და რა ამბავი? თუ ამბობთ თქვით
- რა და აპირებდა უკვე დაბრუნებას და გაიგო რო სოფლის სახლი გაუყიდიათ მაგის ბიჭებს, არადა სოფელში უნდოდა სიბერის გატარება. ბოლოს რასაც მუშაობდა აღარ გამოუგზავნა მაგ უმადურებს და ერთი წლის შეგროვილი ფულით ის კარ-მიდამო გამოისყიდა, დაიბრუნა უკან დედ-მამის სახლი. მაგაზე აღარ ელაპარაკებოდნენ, არც შვილები და არც ქმარი. თითქმის ერთი წელია, პასუხს რა სცემდნენ, მერე ამანაც დაანება თავი , რო ჩავალ, ავალ ჩემს სოფელში . ძველებურად ავაყვავებ იქაურობას და შემოვირიგებო, არ დასცალდა, 17 წელია აქ იყო, ამ სახლიდან ფეხი არ გაუდგამს

- რატო დასვენების დღეები ხო აქვთ მანდაც?
- არა ასეთი კონტრაქტი ქონდა, ამ მოხუცი კაცის ოჯახი ამერიკაში ცხოვრობს
- ღმერთმა ნათელი დაუმკვიდოროს
- საცოდავი
- ისე რა არი იცი, შენ შვილებს როგორც უნდათ ისე უნდა მოიქცე, კი მებრალება, მგრამ ვერ გავამართლებ
- ვერც მე
- ეგ იცი რასა გავს ძროხა რო მოიწველის ბვრს რა მერე რო ფეხს წაკრამს და ძირს დაღვირს ყველაფერს
- 100 პროცენტიანია.
- რათ გინდა ან ის სოფელი, შენ შვილებს თუ არ უნდათ?!
- აბა რაა, მე გავყიდე და მაგ ფულით გავუშვი ჩემი შვილი გერმანიაში, აბა არ გამეყიდა?
- რას ამბობთ, სწავლაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე დიდი ინვესტიციაა, ყველაფერი უკან დაგიბრუნდებათ
- კი ჯერ თვითონ თუ დაბრუნდა ეგ არის საკითხვი.

ეკრანზე ჩნდება ის ქალი რომელიც პროკლამზციებს ავრცელებდა პოლიციელები აკავებენ და მიყავთ, უკან მისდევენ სტუდენტები, რომლებიც იგივე მესიჯებს ყვრიან რაც პოროკლამაციაში ეწერა.

ვინც ხელი აიღოს თანამოძმეზე !!!!

წყალი უნდოდეს და -არ მიეწოდოს!

ცეცხლი უნდოდეს და უხეცხლოდ დარჩეს!!!

შვილი ენეტრებოდეს და - ვერ პოულობდეს!!!

შენ დაბრუნება უნდოდოეს და - ოჯახი გაუნადგურდეს!

სიცოცხლით ტკბებოდეს და - ცხოვრება გაუმწარდეს!!!!

კომენტარები:

-იმის მაგივრად ამხელა ქალი, პედაგოგო, ბავშვებს და სიკეთეს და სიმშვიდეს ჰუმანურობას ქადაგებდეს, აგრსიას თესავს მომავალ თაობაში

- ეს საზიზრარი!! დასაჭერია!   აბა არ არის?

- ყველა მაგისთას სამუდამო პატიმრობა უნდა მიესჯოს

- ჯერ სახეზე შეხედე რა ირონიულად იღიმება ჟურნალისტის შეკითხვაზე- რატომ დაწერეთ ეს ტექსტიო?

- მე არ დამიწერიაო

- ეტყობა ბავშვებს უნდა რო გადააბრალოს

- ისე იქნებ მართლა არ დაუწერია მაგას, საიდანღაც მახოვს თითოს ეს ფრაზები

- ადრეც ექნებოდა გამოქვეყნებული , მაგრამ ჩვენემდე ახლა მოვიდა

- არა რაა, არაფერი არ გვეშველება სანამ ყველა გიჟს ციხეში კი არა საგიჟეთში არ შეყრიან

- აშენებენო

- კი , თანამედროვე ფსიქიარტიული კლინიკა შენდება

- ერთი რას გვეყოფა ჩვენ

მოხუცი მეზღვაური

(აჩერებს ანაფორიანს , რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიდის თავდახრილი)

- ერთი წუთით მამაო

ანაფორიანი -დიახ გისმენთ

მოხუცი მეზღვაური: რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გული სიხარულით მაქვს სავსე , იცით

ანაფორიანი : ღმერთმა გაგახაროთ. ვიცი ყველა მაგაზე ლაპარაკობს

მოხუცი მეზღვაური: -მართლა?

ანაფორიანი : კი ფესიბუქიდან გიცანით, ვიღაცას ქონდა დადებული თქვენი ფოტო და ის ამბავი პატარა ბიჭმა რო ბოდიში მოგიხადათ

მოხუცი მეზღვაური: მერე მამაო, ხოა კარგი ამბავი, ხო ლიფსიტების ამბავი მინდოდა მომეყოლა

(ამ დროს სცენაზე შემოდის რამდენიმე ახალგაზრდა , პროკლამაციების ნაწილს ანაფორიანს მიაჩეჩებენ, ნაწილს კი მოხუც მეღვაურს)

- ეს პირველრიგში თქვენებს დაურიგეთ!
- ვინ ჩემებს
- აი იქ რო ხართ შეყუჯჟულები და არაფერი არ გეხებათ, რაც თქვენს კეთილდღეობას ცოტათი მაინც ავნებს.

(ანაფორიანი თავდახრილი დგას და ხმას არ სცემს, ისინი აგრესიულად შემოეხვევიან გარს და გაჰყვირიან მთელი ხმით):

- ჩამოდით იმ თქვენი ჯიპებიდან
- ერთი მაგალითი მაინც აჩვენეთ ხალხს რო მომავლის იმედი გაუჩნდეთ

ანაფორიანი: არ მყავს მე ჯიპი

- რაც გყავს

ანაფორიანი: -საერთოდ არ მყავს მანქანა

- კაი შენ ჯერ არ გამოწრთობილხარ, ყველაფერი წინ გყავს
- შენ მამაოს ხო ყავს?
- ხო ყავს , რატო არ მპასუხობ?

ანაფორიანი: კი მაგრამ ერთი სოფლიდან- მეორეში დადის მეორედან- მესამეში, ამ ხლხს ქადაგების მოსმენა უნდა, ფეხით, როგორ მოასწრებს ამდენი გზის გავლას , ამაზე არ გიფიქრიათ?

- ნუ ივლის მერე,თუ ასეთ საინტერესო რამეებს ქადაგებს ეგ შენი მამაო, მაგასთან მივლენ , თვითონ და სადაც იქნება იქ მოუსმენენ, გესმის? გადაეცი
- კიდე იცი რა გადაეცი, რო შემოღობეთ ყველაფერი და ჩიტი ვეღარ შემოფრინდება , გახსენით ღობეები, რო ხალხმა დაინახოს თუ ასეთი წესიერები ხართ ვის ემალებით?

(გააფთრებული ახლგაზრდები თავს ესხმიან მათივე ასაკის ანაფორიან ბიჭს, ხელითაც კი ეხებიან უხეშად, მოხუცი მეზღვაური ცდილობს აეფაროს და მათი აგრესიისგან დაიცვას)

მოხუცი მეზღვაური : ამისგან რა გინდათ ? ამას რას ერჩით? არ ეტყობა რო წესიერი ბიჭია თანაც თქვენი ტოლია

- ეეი ! მოკლედ გადაეცი იქ შენიანებს რო ღობეები თავისით მოხსნან, სანამ ჩვენ მიგვინგრევია იქურობა

(ეს ყველაფერი სცენიდან ეკრანზე გადის და იგივე ინციდენტის ფოტოები ფეისბუქის ეკრანზე ჩნდება).

კომენტარები :

- არ არიან ახლა ეს ახლგაზრდები დასაჭერები?
- უნდა მიაყოლო თავიანთ ლექტორს
- რას ერჩოდნენ ამ საწყალ გაძვალტყაბებულ მამაოს
- მაგათგან მოდის ჩვენი უბედურება
- ისეთი არაფერი უთქვამთ, შემოღობილი რატო გაქვთო, მოხსეენით რო ხალხმაც დაგინახოთო რა არის ამაში ცუდი?
- რო მოხსნან არ იცით რო შეცვივდება ეს დამშეული ხალხი და იქურობას ერთ წუთში დედას უტირებენ
- მერე დამშეულების დასაპურებლად არიან ეს ჩემისები?
- მაგათი დანიშნულება სულერებაა და არა კუჭი
- ისე ერთს თუ მაინც თუ უთქვამს თავისი მრევლისთვის , გავიდეთ გარეთ და ჩვენს იქით თუნდაც ერთი მეტრის იქით დავასუფთაოთ, დავალაგოთ, დავთესოთ, დავრგათ, მოვუაროთ, არა აქაც ყველაფერი ღობის იქით არის, და აქეთ არც იყურებიან.
- ხოდა მაგას ამბობენ ეს ახლგაზრდებიც
- ეჰჰ, ჩემო კარგო, მაგალითი, მაგალითი სჭირდება ამ ხალხს და არა სიტყვების ბაქი-ბუქი, მითუმეტეს დამშეულ და სიდუხჭირისგან გაწამებულ ადამიანებს
- გაწამებულები კი არა გაბოროტებულები არიან ეგენი ყველანი
- ვისგან უნდა აიღონ მაგალითი, ამ ღიპიანი ანაფორებინებისგან, რაც სხეული აქვთ სულიც ესეთი მაძღარი და დაუკმაყოფილებელი აქვთ, ამიტომაც არიან მუდმივად მოხვეჭის რეჟიში
- კარგით ხალხო რა გჭირთ, რეებს წერთ!! შენდობა ითხოვეთ ამ მარხვაში
- აუუ!!! სუ გამოყლევდა ეს ხალხი

- იქნებ მე ,,მეყლევება’’? რატო ზღუდავთ ჩემს უფლებებს?!
- ცოტა კორექტულობას მოუხმეთ
- რა არ მოგწონთ? განა საოცარი არაა ზმნა: "მეყლევება"
- ფუ უზრდელი არ მეგონეთ ასეთი
- თქვა მან და გავიდა ფეისბუკიდან
- ისე მეც მიკვირს თქვენგან, მაინც მწერალი ბრძანდებით
- ანუ, ძალიან გეუკულტურებით.
- არც გამიგია ასეთი სიტყვები
- მეგოიმებაც არა?
- აა, ეგ კი
- ხოდა, ძაან მესაყვარლება ქართული ზმნა.
- მიაბი თავი ბოლო და ყველა სიტყვა ზმნაა
- მშვენიერი ზმნაა. არც კატეგორიულობას შეიცავს, -თავმდაბლობას, უფრო..
- "ჩემი აზრით, ყლეა" ამხელა რაღაცის თქმაც არ გიწევს პირდაპაირ ,,მეყლევება“
- "მემჟავება" თუ შეიძლება, ,,მეყლევება ‘’ მაინც ვერ გავიგე რას გიშლით?
- მშვენიერია
- ნახევარი საათის წინ ვერა წაიღო წვიმამ, ისეთი სეტყვა გაიჩითა...
- ოქროს უბანიც,შიშისგან ისევ შოკში ვარ
- საბურთალოზე რა გონია ნაკლები იყო ?!
- ვერაც
- ნახალოვკაც
- შარშან ამ დროს ვეფხვები რო გვჭამდნენ, ნეტა ეხლა რა ხდება..
- ეგ შარშან არ იყო? დროის შეგრძნება დაკარგე?
- როგორ ხარ მეგობარო?
- გაიხარე ! მაგრად ვარ
- ვაჟაზეც ეგრე იყო
- მშვიდობაა ? ვინმემ რამე იცით?
- ვაკე თავის ადგილზეა!!!!!!!!!!
- მოკლედ მგონი ვერ ვხვდებით და წყალწაღებულები ვართ
- არც საბურთალოს დააკლო.

  გადავრჩით.
- აუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუუ!!!!!!
- ბახტრიონიც :-(
- აეროპორტიც ლამის წაიღო.
- ბუნებაც გვღალატობს????????

- თუ ჩვენ ვღალატობთ?
- აქაც წვიმს, საშინლად
- მანდ სად? რომელი უბანია?
- ბათუმში

(შემორბის მოხუცი მეთევზე, ქოშინით)

მოხუცი მეთევზე : ლიფსიტები!!! ხომ გეუბნებოდით და არ დამიჯერეთ არ მისმენთ!! ზღვა სანაპიროზე გადმოვიდა !! ზღვა გადმოვიდა!! ხალხოოო!!!

(თითქოს რაღაცას , ეძებს, მერე იქვე მიგდებულ ვედროს ხელს წამოავლებს და ისევ გაიქცევა.)

კომენტარები:

- საწყალი სულ გაგიჟდა
- თუ გიჟია გარეთ რატოა მერე?
- იყოს, არ არის ბოროტი, თავისთვის რაღაცეებს ბოდავს
- რო გაბოროტდება მერე გვიან იქნება
- კაი გვამხირეულებს , იყოს

ახალგაზრდა ქვრივი ქალი :

-ხომ არსებობენ ღმერთივით კაცები?! არ ვიცოდი ეგ ადრე. კვდებიან ეგენიც, სხვა ჩვეულებრივი ღმერთებივით კვდებიან თურმე. არც ეს ვიცოდი. მერე დაატარებ შენ, შენში დაატარებ, აი, შიგნით დაატარებ, ამ შენს მკვდარ, ღმერთივით კაცს დაატარებ თურმე და ისე დადიხარ. ძლივს დადიხარ მაგიტომ.....არ მიყვარს ჰერკულესის ფაფა, საჭიროა და ვჭამ, ყოველ დილით ვჭამ, რაღაცეებზე ვფიქრობ თან, აქამდე, თაფლით ვჭამდი. ახლა, შიშთან ერთად ვჭამ. ჩემი ქმარი, ჩემზე ადრე დგებოდა სულ და რაღაცეებს მიმზადებდა. ცოტა ძლიერ ყავას მიკეთებდა და არ ვამბობდი მე არაფერს, მიხვდა და მერე ისეთს აკეთებდა როგორიც მინდოდა, სულერთია ახლა როგორ ყავას დავლევ, ყველაფერი სულერთია... ხომ უნდა დაიწყო თავიდან ცხოვრება... ეს შენი თავიც ხო უნდა აიყვანო ხელში. ჰერკულესის ფაფასაც შეჭამ და მიაყოლებ შიშს. სხვანაირი შიშია ეგ. და ხვდები, იმასაც ხვდები, რომ

არ იქნება თავიდან დაწყება საკმარისი. ეგრე თუ გიყვარდა ვინმე და ეგრე ვინც გიყვარდა ის თუ მოგიკვდა აი, თავიდან დაწყება არ ეყოფა მაგას, სულ თავიდან უნდა დაიბადო და ეგეც არ გშველის, მშიშარა დაიბადები, რომ, რომ ყველა მოგიკვდება ვინც გეყვარება. ვინც ეგრე გეყვარება. შეიძლება პირიქით, შენ მოუკვდე მაგას და ამეებზე ვფიქრობ. ბლანტია ჰერკულესი და ძნელად იყლაპება. თან მაგ დროს, რო ამბობენ, ყელში, ის ბურთივით რაღაცაც მეჩხირება და ძაან მინდა თავი ხელში ავიყვანო, ეს ჩემი შეშინებული თავი როგორმე ხელში რომ ავიყვანო. ვერა, ვერ ამყავს

მოხუცი მეზღვაური:

წამოდით ხალხო!!! არ გესმით ?! წამოდით!!! მერე გვიან იქნება!! წყალი წაგვიღებს

ახალაგზრდა ქვრივი ქალი:

მე წამოვალ, ჩემთვის მაინც სულ ერთია

(აიღებს ვედროს და მიდის)

კომენტარები:

- აი კიდევ ერთი გიჟი
- აჰაჰაჰა!!!!

ორიგინალურად მოაზროვნე : - ისე რა იქნებოდა საინფორმაციო პროგრამები მიმდინარე მოვლენებზე კი არა მიმდინარე ადამიანურ გრძნობებზე და ემოციებზე რომ საუბრობდნენ . აი მაგალითად გამოშვება იუწყებოდეს, რომ ოფიციალურ შეხვედრაზე პრემიერს მარტოობის შეგრძნება დაეუფლა, პატრიარქს ამ ბოლო დროს გაუცხოება ჭირს, პრეზიდენტი თავს გარიყულად გრძნობს... მიმინოშვილის 6 ნომერში ვიღაც სიყვარულმა აატირა, ზებრაზე გადამსვლელი მოქალაქე ბრაზმა მოიცვა, ვიღაც მორალური არჩევანის წინაშეა, ვიღაცას უძილობა დასჩემდა... საუბრობდნენ განცდებზე, ურთიერთობებზე, სიკვდილზე და სიცოცხლეზე... არ შეიძლება?

იმედიანი ადამიანი : არ ვიცი, იარსებებდა თუ არა იმედი, რელიგიას რომ არ ეარსება?.. სად დაიწყებოდა და სად დამთავრდებოდა ადამიანი? ურელიგიო დროსაც შევესწარი, კომუნიზმის ყლორტები ჩანდა ჰორიზონტზე... ალბათ იმ

დროშიც იმედით ცოცხლობდა ხალხი... რაა იმედის არსი?.. ყველაზე ადამიანური თვისებაა იმედი და ყველა რელიგიამ ეს იმედები მოკრიბა,შეაგროვა და ზედ ტახტი დაიდგა... ჩვენ უსრული იმედის ხალხი ვართ, ხალხურადაც, რელიგიურადაც... წმინდა ცეცხლიც გადმოვა, ქრისტეც აღსდგება! ჭეშმარიტად შევინანებთ მის ჯვარცმას...შეგვრცხვება... სიყვარულითაც ავივსებით... ცრემლიც მოგვადგება...ისევ სადმე დავეცემით და ისევ წამოგვაყენებს იმედი, რომ ღმერთი არ გაგვწირავს... და ესეც იმედი იქნება,ჩვენი ქართული იმედი, ეთნოიმედი, თუ გნებავთ - ჩვენივე მარადისობის რწმენა ქრისტეში... უსასრულოდ.... უსამანოდ... იმედი-ხიდი აქაურობიდან იქაურობაში, სადაც სულარსებობის მზე ანათებს....ერთი ვედრო , მეც მინდა

- რა ვედრო
- -აი მოხუცი მეთევზე რო ამბობს
- რას ამბობს, გიჟია ეგა
- ზღვიდან წყალი ამოიღეთ და გამხმარ ხეებს დაასხითო, ზღვაც აღარ წაგვლეკავს და გამხმარი ხეებიც ნაყოფს მოისხმენო
- ღმერთო უშველე ამდენ გიჟს !!!!
- ამ სიცივეში კაცო?
- რა რიცხვია დღეს ?
- ხუთ დღეში გაზაფხულიც მოვა

- ,, ...თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
  შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
  თოვდა… და თბილისს ებურა თალხი,
  დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

რეპრესიებული ოჯახის შთამომავალი :

- აქ იყო ბაბუაჩემი დაკრძალული, იუნკერი. ეკლესიის დანგრევა რომ დაიწყეს ბებია ფილიპე მახარაძესთან მივიდა გადასვენების ნებართვის მისაღებად. ფილიპემ ახედ-ჩახედა და კითხა აქ რომ მოხვედი პარტონი არ გყავსო?- პატრონი თქვენ მომიკალითო უთხრა ბებიამ...მიუხედავად ამ სიტყვებისა გადასვენების უფლება მისცეს...მარტში რვა გვამი გათხარეს მუშებმა, მეცხრე ბაბუა გამოდგა.გადაასვენეს ქუთაისში ეკლესიის ეზოში. მერე ის ეკლესიაც დაანგრიეს...

ფეისბუქის ეკრანზე ჩნდება ძველი ფოტო , მომღიმარი ახალგაზრდა , ლამაზი გოგონები

- ჩვენ რომ გვიყურებს და გვიღიმის, სულ წინა პლანზე, იმ გოგოს - ნეტა რა ბედი ეწია ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ?
  როცა ვფიქრობ დამოუკიდებელ საქართველოზე - ეს სურათი და ეს კითხვა ამოტივტივდება ხოლმე.
  ამ ფოტოში რაღაც სხვა ხალისია, არა ნაძალადევი, როგორიც მალე დადგება. ბედნიერი და იმედით სავსე თავისუფალი ადამიანები, რომელთა ცხოვრება რადიკალურად შეცვალა 1921 წლის 25 თებერვალმა.

სევდიანი კაცი :

- დღეს, 12 მარტს, მშრალ ხიდთან (,,ბარახოლკაზე”) შუახნის მამაკაცი ნაძვისხის ძველ, გაცრეცილ სათამაშოებს ყიდდა. არც დიდი სევდით იყო მოცული და არც ფსიქიურად გადახრილს გავდა. რა საინტერესოა ასეთი ოპტიმიზმი, რომ მასაც შეიძლება გამოსჩენოდა მყიდველი.

მოფილოსოფოსო კაცი:

- "მე არ ვიცი, არის თუ არა დღეს, ჩვენს შორის ღვთისმშობლის მადლი და სიყვარული, მაგრამ მოდით ერთი წუთით პატარა რელიგიური სასწაული წარმოვიდგინოთ: ღვთისმშობელმა თავისი ქვეყნის "ხილვა" მოისურვა. რას ნახავს? ნახავს მონობის სენით შეპყრობილ კერპთაყვანისმცემლებს, რომელთაც თავისუფლება ბატონის გამოცვლა ჰგონიათ, ნახავს მდიდარ ფარისევლებს, რომლებიც საჩვენებელ და გამოყენებით ქველმოქმედებას ეწევიან, იმ დროს როდესაც მათ გვერდით, ნამდვილი ადამიანები ნამდვილი სიკვდილით ნამდვილად იხოცებიან;
  ნახავს სიხარბისგან სახედაკარგულ კაცუნებს, რომლებისთვისაც სიხარბე უკვე იმ ზომის იდეალისტური თვითმიზანია - რომ შეეძლოთ ორ-ორ საფლავში ჩაწვებიან; ნახავს ცრუ ადამიანებს, რომლებიც რელიგიურობანას თამაშობენ და, რაკი რწმენის ორგანო ატროფირებული აქვთ, რწმენაც აღებ-მიცემობის საგნად უქცევიათ, როგორც ფართალი, როგორც პოლიტიკა, როგორც სპილენძი, როგორც სინდისი, როგორც პოლიტიკა, როგორც მოყვასის ბედი. წმინდა ღვთისმშობელი ასეთ ქვეყანაზე,

- "სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტი"ძალიან მეცინება
- რა არის სასაცილო?“
- ჟღერადობა! არ გეჩვენებათ კომიკური?
- ვერ არის ეს ხო იცით?!

- ზელანდია და ავსტრალია მეგრელები არიან და კიდო ბევრი სხვაც- ---

- რასაკვირველია; სამეგრელოს საზღვრები არა აქვს!

- ქვემო მაჩხაანისა და ჩრდილოეთ უნგრეთის ტახტი მიზიდავს. არ ვიცი რა ვქნა, ვერ ვწყვეტ მასზე ფიქრს.
- მარსზე და ვენერაზე არ გვყავს ჯერ ერთი მიტროპოლიტი მაინც?
- მიტროპოლიტი გრენლანდიისა და ჩრდილოეთ პოლუსისა.
- "ახ, ნეტავი ერთად იყოს ჩხოროწყუ და სიდნეი"
- ოკეანიის კუნძულები აპროტესტებენ ალბათ,ჩვენც სენაკი-ჩხოროწყუს ვეკუთვნით გეოგრაფიულადო.
- ახალი ზელანდია, როგორც პლანეტის ჩხოროწყუ

- საპატრიარქო თავისი ისტორიის ახალ ფაზაში გადავიდა, რაშიც მას ახლებურად მოუწევს მოქმედება.
- წლების წინ, როდესაც ვსაუბრობდით მსგავს საკითხებზე, უაზრო კრიტიკას ვიღებდით. ყველაფერი კი სწორედ ისე წავიდა, როგორც ვამბობდი...სამწუხაროდ

- კაი თუ ძმა ხარ, ეკლესის მომავლის განჭვრეტა კი არა ალუჩის ფასმა ისე დამშოკა, ვერ გამოვდივარ
- რა ღირს როო
- 100 ლარი კილო
- უნდა ღირდეს, ყველაფერი რასაც ბუნება ქმნის ცოტა ხანში თქვენს მანქანებზე და სახლებზე ძვირი იქნება იქნება
- აუუ ეს ლელა კაკულიაა ხომ არ არის ? დაფარული სახელით?
- არა მისი მიმდევარი იქნება, ან შეგირდი.
- ჯერ ალუჩას დედა მოვტყან, მერე მიშასი, მერე ნაცების, მერე ბიძინასი, მერე ოცნების, მერე საქართველოსი,მერე ხეების, მერე იმ პოლიციელების ვინც მართლა წამალს უდებთ ხალხს მოგიტყანთ ოჯახი ეგეთებს, მერე ქობულეთის, მერე ბათუმის ხალხს დედას რომ უტყნავთ თქვენი ფასებით, მერე ბაკურიანის, მერე გუდაურის, ნერე სვეცკების, მერე ძალით სვეცკების, მერე ისეთ ხალხს ვინც მარხვაზეა და სინამდვილეში უბრალოდ ხორცს არ ჭამს და ათასგვარ სიბინძურეს აკეთებს, ანუ უბრალოდ მოდას მიყვება და დიეტაზეა, მერე სატელევიზიო არხების, მერე მათი გადაცემების. გაუმარჯოს უბრალოებას, გაუმარჯოს თავმდაბლობას, გაუმარჯოს ფიროსმანს, ნამდვილ რომანტიკოს, გაუმარჯოს პაოლო იაშვილს, რომელმაც ვერ აიტანა ეს ყველაფერი და თავი მოიკლა, გაუმარჯოს ჯიგრებს, გულიანებს, წესიერებს, პატიოსნებს, სიკეთის მოყვარულებს.
- აუუ რამდენი დაულევია? !!!
- ერთიც რა ბიძაჩემო!!!!
- შენ გენაცვალე ჯიგარში!!!

მთვრალია კაცი : -

- დღეს ქეიფი გვქონდა. თანაკლასელები შევიკრიბეთ. აღმოჩნდა, რომ 29 წლის წინ დაგვიმთავრებია სკოლა, ეტო რაზ.
  დიდი დრო გასულა!

მერე თეფშით გეოგრაფიის მასწავლებლის სული გამოვიძახეთ. ვკითხეთ ცოცხალი, რომ ყოფილიყო ხმას ვის მიცემდა?! ასე თქვა თარხან-მოურავსო! ეტო დვა...

უფულო ინტელიგენტი :

- ვცვლი განათლებით დამძიმებულ თავს ფულიან ჯიბეზე! აღარ შემიძლია, ამ ბოლო დროს, რაღაც, ძალიან მამძიმებს

ქალაქელი : - კლუბიდან გამოსვლისას ერთ ტიპს შემთხვევით მხარი გავკარი, მომიტრიალდა და - რამე პრობლემა გაქ ძმაო?... ყველა პრობლემა მოვუყევი, ვსხედვართ ახლა და ვტირით, თან ვსვამთ

ქალი : *(ქუჩის კუთხეში ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი)*

- ხალხო!!! გაიგეთ :რაც ღირს ჭარხალი, ის ფასი აქვს სტაფილოსაც. თუ ჭარხალზე გეუბნები მაგალითად 1 ლარს, სტაფილოს ფასს ნუღარ მეკითხებით. 8 წელია ეს მაღაზია მაქვს, 8 წელი ამას გეუბნებით და ნუ ამხადეთ ტვინიიიიი!!!
-

- ბოდიში ლამარა.გვაპატიე ამ ერთხელაც. აწი დავიმახსოვრებთ- (რიგში მდგარი ხალხის ერთსულოვანი კომენტარი) .
-დაიმახსოვრებთ არა, ისა კიდე. განცხადებაც მქონდა გაკრული და ჩამოვგლიჯე, მაინც არავინ კითხულობდა. ტვინს მიდუღებთ!!!! დამღალეთ. რა გაგიხდათ ეს სტაფილო და ჭარხალი რომ ვერ დაიმახსოვრეთ.?!
- ესეიგი მთელს მსოფლიოში მიმწოდებელი ზრუნავს კლიენტზე და ჩვენთან 35 გრადუსიან სიცხეში რიგში მდგარი კლიენტი ზრუნავს მიმწოდებლის მშვიდ ნერვებზე .

სიცოცხლისთვის მებრძოლი კაცი:

- სკონცენტრაციო ბანაკის პატიმარს ვგავარ 85 კილოდან 65 კილოზე ჩამოვედი. 31 დღე სრული შიმშილობისა მხოლოდ წყალი, რომლის დანახვაც კი აღარ მინდა ,დასრულებულია. აი, ასე გამოვიყურები. ძალა გამოცლილი, მენატრება მჭადი და ყველი და ეკალა ნიგვზიანი ძმრით. გონება 24 საათი როგორც იდეებისუწყვეტი გენერატორი ისე მუ შაობს. არ მეგონა თუ ადამიანს ამდენი

შეეძლო, ამიტომ ჩემიანების წახალისებით ამ დილას გადავწყვიტე 40 დღიან სააკრალურ ნიშნულზე გასვლა, ახლა იწყება მთავარი სულიერი ტრანსფორმირება და ეს დრამატული პროცესი უნდამივიყვანო 9 ივნისამდე, 40 დღე, ერთი თვე და ათი დღე სრული შიმშილობისა. საათებს ვითვლიდი , ახლა კი მშვიდად ვარ ველი 9 ივნისს გამარჯვებას თქვენთან ერთად. ერთად ერთი ფიზიკური მდგომარეობა განუწყვეტლივ იცვლება, საწოლიდან ვეღარ ვდგები და მუდმივად გონების დაკარგვის საშიშროებაა, გულის რევის განცდაა მუდამ და გაბუწყვეტელი თავის ტკივილი. მაგრამ როდესაც ასეულ ათასი მლოცველი გყავს და გამარჯვების რწმენით სავსე ხარ იცი რომ 9 ივნისამდეც მიხვალ და გპირდებით პირველს , რასაცგავაკეთებ, ამ 40 დღიანი დრამატული ეპოპეის წიგნად აღწერილს შემოგთავაზებთ. თქვენი სიყვარული ფრთებს მასხავს და მაგულიანებს. მეტი წერა აღარ შემიძლია. დროებით.

აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალი :

- მე ჭუბერი გამოვიარე!
  ყველა დეტალი ნათლად მახსოვს...ვერ დავივიწყე... განვდევნე, მაგრამ ასაკთან ერთად ხშირად მიბრუნდება, სიზმარშიც...ცხადშიც...
  დანარჩენი ყველაფერი , რაც გადამხდენია და რაც მინახავს თამაში იყო....
  ხვალ მე ოცდამესამეჯერ დავტოვებ ჩემს ქალაქს...
  ხვალ მე გამომაძევებენ ჩემი წარსულიდან...
  ხვალ ვიღაც მოკვდება ჩემ გამო და მე დამრჩება ვალი, რომელიც უკან დაბრუნებით უნდა გადავუხადო...
  ხვალ კიდევ ერთხელ შემიცოდებენ საარჩევნო პროგრამებში და გმირთა მოედანზე გვირგვინით შეამკობენ ამ სიბრალულს...
  ხვალ 27 სექტემბერია!

ეკრანზე ჩნდება ჭუბერის კადრები და

ჟიული შარტავს ტყვედ აყვანის

თბილისელი (უბინაოდ დრჩენილი)

- 10 წელია ბინას ველოდები რომელიც დღემდე ჰაერია. როგორ ვცხოვრობ მთელი ეს პერიოდი და რა გართულებები გამოიწვია ამ შეცდომამ ვიცი რომ არავის აინტერესებს. ცოტა ხნის წინ კომპანიის დირექტორმა საუბრის დაწყების წინ გამოაცხადა, მოდით მორალზე არ ვისაუბროთ, ეს ბიზნესიაო. ჰოდა არც გვისაუბრია, ვიჯექი და ვუყურებდი როგორ გვირიგებდა წყლის

ბოთლებს თავაზიანად და როგორ თამაშობდა მორალურ ადამიანს. ალბათ ხვალ რომ დაიჭირონ მორალზე მაშინ ისაუბრებს და დაიცავს ყველა ვინც თვლის რომ მისთვის მთავარი ამ ქვეყნად ადამიანია.
ვზივარ ეს დღეები უძილო და ვკითხულობ ათას სტატუსს და კომენტარს. ამას წინათ ვიღაცას ეწერა პატიოსანი შრომით ამ ქვეყანაში ბინას ვერ იყიდიო. შენი ბრალია არ არსებულ სახლში ფული რომ შეიტანეო. რა დროს ბინაა როცა ხალხს შია და დედები კონფლიქტურ ზონებში დარჩენილი შვილების საფლავებს ვერ ნახულობენო. და საერთოდ, რა დროს ჩემი ბინაა როცა ქვეყანაზე ომია და ბავშვები იხოცებიან – მართალია ეს ხალხი, ვერაფერს იტყვი. მაინც ვერ მოვეშვი ამ კომენტარების კითხვას და იმასაც მივხვდი რომ სანამ ცუდად არ გახდები და სიკვდილის პირას არ მიხვალ, უბრალოდ უხილავი ხარ და ცუდად რომც გახდე, ხალხი მაინც უნდა გიცნობდეს, ისე ვერავინ დაგინახავს და არც ის ერთი წვეთი ემპათია გერგება მხოლოდ მომაკვდავს ან უკვე მკვდარს რომ უზიარებენ ქრისტეს მორალით.
მივხვდი რომ ამ ქვეყანაში უნდა გცემონ, გაწამონ, ციხეში ჩაგსვან, გაგანადგურონ და მაშინ დაგიცავენ. დაწერენ სტატუსებს ფეისბუქზე და დაიცავენ უმაღლეს ღირებულებას ირონიით, დაცინვით, ბულინგით, ზიზღით და შეგინებით.
მართალია, რა დროს ჩემი ბინაა როცა ქვეყანაზე ამდენი უსამართლობა ხდება, არ არის ამ ქვეყანაში ჩემი დრო, არც არასოდეს მოვა. უნდა ვიჯდე ჩუმად, ჩემამდე ძალიან ბევრია, ჩემზე ბევრად ხილული. ჯანდაბას ჩემი თავი, თქვენ იყავით კარგად!

- **საქართველოში დამნაშავე სუბიექტები არიან:**
  ღმერთი, ეშმაკი, ამინდი, მასონები, სატანისტები, ამერიკა, ევროპა, რუსეთი, ჩინეთი, ვირუსიანი ჩიტები, გრიპი, ენჯეოები, მე-9 ბლოკი, მე-10 ბლოკის წინა და მე-8ს შემდეგი, იუპიტერი, მაგნიტური დღეები და აშ.
  ჩვენ არა!

"რაც უფრო ფართედ შლი ხელებს ჩასახუტებლად,მით უფრო ადვილია შენი ჯვარცმა."- ფრიდრიხ ნიცშე

- **ლოთი კაცი:**
  აუუ !! წარმოიდგინეთ ფორმულა 1-ის ჩემპიონატი საქართველოში. ახლა წარმოიდგინეთ მსოფლიოში ყველაზე დიდი კინოსტუდია საქართველოში.

კოსმოსური ხომალდები საქართველოდან ფრინდებიან. წარმოიდგინეთ მეორე ცერნი აქ გაიხსნა და მიაკვლიეს სამყაროს წარმოქმნის დედააზრს. წარმოიდგინეთ ყველაზე ლამაზ და სწრაფ ავტომობილებს ჩვენ ვაწარმოებთ. წარმოიდგინეთ საქართველო გადაჭიმულია ხმელთაშუაზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე. წარმოიდგინეთ ვართ 500 მილიონი. ყველაზე მაგარი საგადასახადო სისტემა გვაქვს. ლარი არის ყველაზე მყარი ვალუტა. ბავშვი რომ იბადება მიუხედავად მზარდი პოპულაციისა ავტომატურად 1 მილიონი ერიცხება ანგარიშსზე. არანაირი ღალატი არ არსებობს და ერი არის ერთიანი თავის მიზნებში.
მოსახლეობას ხელისუფლება უყვარს და ხელისუფლებას მოსახლეობა. არ გვყავს ქვეყნიდან დევნილები და პოლიტპატიმრები.
მომიტევეთ, ცოტა დავლიე და ჩემს ფანტაზიას ფრენის უფლება მივეცი

ახლგაზრდა ემიგრატი ბიჭი:

- გუშინ ერთი ებრაელი ბაბუ გამეჩითა და გამოველაპარაკე. რუსი ებრაელი. ხო და კაროჩეო 25 წელია ამერიკაში ვცხოვრობო და ორი სიტყვა ვიცი ინგლისურადო. მე შევეკითხე რა 2 სიტყვა თქო. Money "და " much money. აი ეს ორი სიტყვა იცის ბრუკლინელმა ბაბუმ.
  და კიდევ, როცა მანდ ვცხოვრობდი, არანაირო საინფორმაციო გადაცემისთვის არ მიყურებია, არ მაინტერესებდა, ახლა ყველაფერს ვუყურებ, არქივიც კი გადავქექე და აღმოვაჩინე რომ რაც მე გავჩენილვალ ამ ქვეყანაზე , აგერ სულ მალე 30 წელი შემისრულდება, სულ ერთი და იგივე ხალხი ტრალებს , სულ ერთი და იგივე სახეები, თქვენ ვერ ამჩნევთ, თუ ვერ ხვდებით. მოკლედ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ცოტა წავიკაოფე და ეს ვიდეო ავაწყვა , მაგრად იკაიფებთ დამიჯერეთ.

ეკრანზე ჩანს მიშას დროს დატრიალებული სისხლიანი კადრები რომელსაც ებმის დღევანდელი ოპოზიციონერების კომენტარები: - პირსისხლიანებო, მოძალადეებო!!! გადადექით!!

ხოლო ბიძინას არ შემდგარ დაპირებებს ისევ უახლესი არქივიდან აფასებენ დღევანდელი მართველი პარტიის ცნობადი სახეები: - ამას უნდა დანახვა და დაფასება.

კომენტარები :

- აუუ მაგრად გაასწორა !
- ძალიან ბევრი ვიცინეთ
- კიდე გააძრე რაა , კიდე გექნება რამე

ახლგაზრდა ემიგრატი ბიჭი:

- გასართობად დაგიდეთ!!!
  ეეეე!!! ცოტა ტვინი გაანძიეთ!!!
  ზვადმა დამოუკიდებლობა გაჩუქათ,
  ედუარდმა მშვიდობა გაჩუქათ (დაუჩოქეთ),
  მიშამ სახელმწიფო გაჩუქათ,
  ბიძინამ ფინანსები გაჩუქათ.
  შენ რა ქენი თვითონ მრავალტანჯულო და მარიამის წილხვედრო,
  შემდეგ რის ჩუქებას ელი...
  არადა რა ბიჭი იქნებოდი, რომ არ დაგეჯერებინა, რომ შენ ქენი ეს ყველაფერი თვითონ, ტრაკის განძრევასაც ხო ისწავლიდი, მაგრამ მოგწონს ეგეთი ცხოვრება,- შენ რო წამოწოლილი ხარ და ვიღაც გჩუქნის, მოგწონს და რა უნდა ქნა ?!

- ბიჭო შენ ვის უბედავ შე მართლა ყლეო შენა , შენ ვინ მიგდიხარ რო მანდედან ჭკუას გვასწავლი ?!

ახლგაზრდა ემიგრატი ბიჭი:

- ვინა ვარ და უცნობი მესოპოტამიელი ანალიტიკოს-ექსპერტი.

- ჩვენ კიდე ის თაობა ვართ ვისაც დედები აივნიდან ეძახდნენ სახლში ამოდიო.
  ჩვენ ვართ ისინი, ვინც წერილებს ფურცელზე წერდნენ და არა მობილურზე.
  ჩვენ ვართ ისინი, ვისი მეგობრებიც online-ის ნაცვლად ეზოში იყვნენ.
  ჩვენ ვართ ისინი ვინც ონლაინ თამაშების ნაცვლად დახუჭობანას ვთამაშობდით.
  ჩვენ ის თაობა ვართ შუქი რომ მოდიოდა და ვყვიროდით მთელი უბანი ერთად.
  ჩვენ ის თაობა ვართ პოკემონებს რომ ვაგროვებდით და დენდი გქვონდა.
  ჩვენ ის თაობა ვართ ტურბოს ნაკლეიკებზე, რომ ჯეირანს ვთამაშობდით
  ჩვენ ის თაობა ლიმონათის ნაცვლად ზუკოს ან ინვაიტს ვსვამდით.

წრეშიბურთს და ორდროშობანას, რომ ვთამაშობდით.
ჩვენ ის თაობა ვართ მობილურები არ გვქონდა და მაინც ვიცოდით მთელი სასტავი სად იყო.
ჩვენ ის თაობა ვართ "კერასინკის" სუნში რო ვიძინებდით და გრენდაიზერს ვუყურებდით.

- ლარად კოკაკოლა,ნაყინი,ჩუპა-ჩუფსი,კევი და კიდე რამე რომ მოგდიოდია.. სონის გაჩითვა სენსაცია იყო და ფეხბურთის თამაშის დროს ბურთის პატრონი არ უნდა გაგებრაზებინა თორემ მთავრდებოდა თამაში..
ჩვენ ვართ თაობა რომლებსაც მუხლებზე შრამები გვაქვს.
ჩვენ ვართ თაობა ვისი ბავშვობაც ძალიან მაგარი იყო

- ,,კოჰაბიტაცია'' ეს სიტყვა არც მქონდა გაგონილი რამდენიმე წლის წინ ახლა რას ნიშნავს ზუსტად ვიცი, კპჰაბიტაცია ...ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების. სატელევიზიო დებატებში მწვავე დაპირისპირება და შემდეგ ერთად მოლხენა ყოფილა ...
- არ ვარ ცოტა წლის, მაგრამ ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ის საზოგადოება არ მანახო, სადაც ეს წუნკალი პოლიტიკანები პოლიტიკურ სანაგვეზე იქნებიან გადაყრილი, ჩემიან-იმისიანა!
- გუშინ ერთმა თავისი ჭკუით დიდმა პოლიტიკოსმა , რომელსაც პრეზიდენტობაზეც კი ქონდა პრეტენზია ასეთი რამ თქვა -,,ბებიას , რო ის ქონდეს ბაბუა იქნებოდაო''. საით მივექანებით ? ....
დღესაც რა აქტუალურია შექსპირი:
- ,,ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,

  რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,

  რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,

  რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,

- როდემდე შეიძლება ერთ წრეზე ვირტიალოთ, ან იქნებ უკვე გამოგვილაყეს ტვინი?! ბევრი უაზრო ტრიალ ი ხო ისედაც ალაყებს ...

რამდენი ხართ , ნახეთ ეი თქვენ ფეისბუქელებო? !! ჩემი ჩათვლით, ყველაზე ცოტა ერთ საათს ხო მაინ ატრებთ ამ არ არსებულ ქვეყანაში. თქვენი ცხოვრების თუნდაც ერთი საათი, ხო სულ მცირე 365 საათია წელიწადში, ეხლა ეს 365 გაამრავლეთ მილიონებზე და ნახეთ რა ციფს მიიღებთ. არადა ერთი ადამინის ერთი ღილაკის დაჭერაზეა დამოკიდებული ეს გამოგონილი სამყარო, რომელსაც არ ფერი აქვს არც სუნი , არც გემო, ვერც თვენ ხედავთ ერთმანეთის თვალებს, ამიტომაც უფრო ავილი გახდა ერთმანეთის ლანძღვა, გინება , სასიკვდილოდ გაწირვა, რა სიტყვით ნაკლები ადამინები კვდებიან ?! ...ამას არავინ გვაპატიებს , რადან ეს დრო, რომელიც ასტონომიულ ციფრებამდე ადის, ეს ფუჭად დახარჯული დრო , შეიძლებოდა სულ სხვა რამეში დაგვეხარჯა. მოგვეხნა, დაგვეთესა , დაგვერგო და მერე ეს ნაყოფი ჩვენი შვილიშვილებისთვის გადაგვეცა, მათ ხომ მხოლოდ მოყოლით იციან ამ სუნების და გემოების შესახებ. ცოტა ხნის წინ ისევ აქ ფეისბუკში ვნახე ეს წერილი, ალბათ ბევრმა კიდეც წაიკითხა :

-

- ,,შვილმა ერთხელ ჰკითხა თავის მამას: ,,როგორ ცხოვრობდით ადრე
ტექნოლოგიებთან წვდომის გარეშე:
ინტერნეტის გარეშე,
კომპიუტერების გარეშე,
ტელევიზორების გარეშე,
კონდიციონერების გარეშე,
მობილური ტელეფონების გარეშე?“
მამამ უპასუხა:
,,ზუსტად ისე, როგორც დღეს თქვენი თაობა ცხოვრობს;
ლოცვის გარეშე,
თანაგრძნობის გარეშე,
ღირსების გარეშე,
პატივისცემის გარეშე,
სირცხვილის გრძნობის გარეშე,
თავმდაბლობის გარეშე,
წიგნის კითხვის გარეშე…
ჩვენ – ადამიანები რომლებიც დავიბადეთ 1945-1985 წლებს შორის, ვართ დალოცვილნი.
ჩვენი ცხოვრება – ამისი ცოცხალი მაგალითია:
თამაშის და ველოსიპედზე ჯდომის დროს, ჩვენ არ ვატარებდით ჩაფხუტებს.
ჩვენ არ გვეშინოდა მარტო გვევლო სკოლაში სწავლის პირველივე დღიდან.
სკოლის შემდეგ ჩვენ მზის ჩასვლამდე ვთამაშობდით.
ჩვენ არასოდეს ვუყურებდით ტელევიზორს შუადღემდე.

ჩვენ ვთამაშობდით ნამდვილ მეგობრებთან და არა ვირტუალურ მეგობრებთან ინტერნეტიდან.
თუკი ჩვენ მოგვწყურდებოდა, ჩვენ ვსვამდით ონკანის წყალს და არა ბოთლის წყალს.
ჩვენ ცოტას ვავადმყოფობდით, თუმცა ადრე ოთხ მეგობართან ერთად ვიყოფდით ერთ ჭიქა წვენს. ჩვენი მშობლები გვკურნავდნენ სამამულო წარმოების კაპიკებიანი საშუალებებით ან ხალხური მედიცინის დახმარებით.
ჩვენ არასდროს ვიმატებდით წონაში, თუმცა ვჭამდით ბევრ პურს და კარტოფილს ყოველდღე.
ჩვენ მივეჩვიეთ შეგვექმნა ჩვენი სათამაშოები და მათით გვეთამაშა.
ჩვენ ვუწილადებდით ერთმანეთს სათამაშოებს და წიგნებს. სკოლის სახელმძღვანელოებს უფროსკლასელები უსასყიდლოდ გვაძლევდნენ და ერთი წლის მერე ასევე უსასყიდლოდ ვჩუქნიდით ჩვენს მომდევნო თაობას და ამით ცოდნის დონე არანაირად არ იკლებდა.
ჩვენი მშობლები არ იყვნენ მდიდრები. ისინი გვჩუქნიდნენ სიყვარულს, გვასწავლეს დაგვეფასებინა სულიერი, და არა მატერიალური, მოგვცეს ნამდვილი ადამიანური ფასეულობების – პატიოსნების, ერთგულების, პატივისცემის, შრომისმოყვარეობის გაგება.

ჩვენ არასოდეს გვქონია: მობილური ტელეფონი, დივიდი, ფლეისტეიშენი, იქსბოქსი, ვიდეოთამაშები, პერსონალური კომპიუტერი, ინტერნეტ-ჩათი.
სამაგიეროდ ჩვენ გვყავდნენ ნამდვილი მეგობრები!
ჩვენ მივდიოდით სტუმრად მეგობართან დაუპატიჟებლად, ჩვენ გვიმასპინძლდებოდნენ უბრალო, მოკრძალებული საჭმლით.
ჩვენი მოგონებები შავ-თეთრ ფოტოებზე იყო აღბეჭდილი, მაგრამ ისინი მაინც ნათელი და ფერადი იყო, ჩვენ სიამოვნებით ვფურცლავდით ოჯახურ ფოტოალბომებს და კრძალვით ვინახავდით ჩვენი წინაპრების პორტრეტებს.

ჩვენ არ ვყრიდით ნაგავში წიგნებს, არამედ რიგებში ვიდექით მათ შესაძენად და შემდეგ ხარბად, გაუჩერებლად ვკითხულობდით.
ჩვენ არ გამოგვქონდა ჩვენი ცხოვრება უცხოების განხილვაზე და არ განვიხილავდით ისეთი კმაყოფილებით სხვების ცხოვრებას, როგორითაც ამას თქვენ აკეთებთ – გამოფინოთ საკუთარი ცხოვრება საჩვენებლად ინსტაგრამზე, განიხილოთ სახალხოდ მას-მედია-სივრცეში საკუთარი ოჯახური საიდუმლოებები.
ჩვენ – უნიკალური და ყველაზე მეტად გამგები თაობა ვართ, რადგან:
ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელიც მშობლებს უსმენდა და უჯერებდა, ამას გარდა,
ჩვენ ვართ პირველნი, რომლებსაც საკუთარი შვილებისთვის უნდა მოგვესმინა და დაგვეჯერებინა.
და ჩვენ ვართ ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ თქვენზე გონიერია და გეხმარებათ თქვენ.

ბოლოს ასე ამთავრებდა

ჩვენ შეზღუდული გამოცემა ვართ.
დატკბით ჩვენით!
ისწავლეთ ჩვენგან!
დაგვაფასეთ ჩვენ!
მანამდე, ვიდრე გავქრებით

-და რა უნდა ისწავლონ ჩვენგან ?! .... რის მაგალითს ვაძლევთ ?! ...

შემორბის მოხუცი მეზრვაური ახლა უკვე ყვრილით

მოხუცი მეზღვაური :

მოტრიალით, მოტრიალდით, უკვე თქვენს ფეხებთან მოსულა ზღვა, ცოტაც და ყველაფერი დამთავრდება, ცოტაც და ყველაფერი ძალიან გვიან იქნება, ერთ წამში გამოგვეცლება ფეხქვეშ მიწა და ხავსსაც კი ვეღარ ვიპოვით რომ ხელი მოკიდოთ და ჩახედეთ ერთმანეთს თვალებში, იქნებ აქ მაინც დაინახოთ საკუთარი თავები და აღიაროთ საკუღატი შეცდემოები, მხოლოდ სინანულიაა ჩვენი გადარცენის ერთადერთი გზა!!!! სინანაულადან აღასარებამდე კი - ერთი ნაბიჯია

ნუ დავაბრალებთ ერთმანეთს რაც გვჭირს

საკუთარი თავიდან დაბიწყოთ, საკუთარი შეცდომებიდან

იქნებ გვეყოს დარჩენილი ცხოვრება ამ შეცდომების გამოსასწორებლად

გახსოვდეთ მშრომელი ადამიანი, ვინც რაღაცას ქმნის არასოდეს არ არის ბოროტი, რადგამ მას ცუდზე საფიქრელად დრო არა აქვს, არ სცალია .

- ბოდიში მოიხადეთ, ბოდიში, აღარეთ თქვენი შეცდობები და ცოდვები, სხვანაირად არაფერი გვეშველება
- აღსარება სინანულის გარეშე არ შეიწირება
- მეტი რა აღსარება გინდათ რაც ხალხმა დაფქვა ამ დღეებში

(ეკრანზე ჩანს ია ფარულავას გადაცემა ,ფარული კონვერტი

სადაც ადამინები ყველაზე საშინელებებს ამბობენ)

-

"არ ჩამოართვათ გარეწრებს ხელი, თუ გინდათ, რომ გადავრჩეთ!''
''ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თავადაც გარეწარია. გარეწრობა გადამდებია, შეხებითაც გადადის. იმიტომაც დავლპით ზეზეულად.
გარჩევა არ არის. ან გვეშინია, ან გვერიდება, ან იმ წუთას ასე მიგვაჩნია საჭიროდ. მეორე წუთს კი შენც იმისთანა ხდები, შენდაუნებურად. შენდაუნებურად კი არა, შეგნებულად, მიზანდასახულად, რადგან იცი, როგორ უნდა მოიქცე და მაინც ისე იქცევი, როგორც არ მოიქცეოდი, სიმტკიცე რომ გქონოდა, ღირსება რომ შეგენარჩუნებინა.
არ ჩამოართვათ გარეწრებს ხელი, თუ გინდათ, რომ გადავრჩეთ. ყველანი გადავრჩებით. ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ცხოვრება ყველა სატკივარს ჩაგვიწყნარებს თანდათანობით და, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ენით უთქმელი შვებითა და ნეტარებით ვიგრძნობთ…
თუმცა, არა! ჩვენ შეიძლება ვერ ვიგრძნოთ, მაგრამ ჩვენივე სიბინძურიდან, ჩვენივე სიბნელიდან პეპელასავით ამოფრინდება ჩვენი განმწმენდილი და, რაც მთავარია, გადარჩენილი სული!'' ოთარ ჭილაძე

- ასწავლეთ შვილებს, რომ ყველა დაპურებული არ არის. ასწავლეთ, რომ ყველას არ გააჩნია თავშესაფარი, რომ ყველა არ სწავლობს კერძო სკოლაში, რომ ყველა ვერ ყიდულობს ,,ბიგ მაკს", ან ,,ჩიზ ქეიქს"...
ასწავლეთ, რომ ბევრი იმიტომ ვერ დადის სკოლაში, ფეხსაცმელი გაუცვდა.
ასწავლეთ, რომ ქალაქში ცხოვრება არ არის უპირატესობა, ასწავლეთ, რომ სოფელში ყოფნა არ ნიშნავს პროვინციალიზმს.
ასწავლეთ შვილებს, რომ სხვების ჩაგვრა სიძლიერე არა, სისუსტის ბრალია, რომ დაცინვა კომპლექსია და არა უპირატესობის ნიშანი.
ასწავლეთ, რომ სიყვარული ყველაზე დიდი განძია, რაც ღმერთს ადამიანისათვის უბოძებია... ასწავლეთ, რომ ერთგულება რჩეულთა ხვედრია...
ასწავლეთ ვაჟებს, რომ ხშირად აჩუქონ გოგონებს ყვავილები, თუნდაც მინდვრის...
ასწავლეთ გოგონებს, რაც უფრო მოუწვდომელი იქნებიან, , ბიჭები უფრო დააფასებენ...
ასწავლეთ შვილებს, რომ ტაძრების მშენებლობაში მონაწილეობის მიღება მარტო არ არის სულიერება, მთავარი მცნებების დაცვაა...
ასწავლეთ, რომ ლუკმა მშიერს გაუყონ და არასდროს იტრაბახონ ,,ადიდასის" ქურთუკით, თუ სხვას სცივა...
ასწავლეთ, რომ ამპარტავანი ადამიანი ღვთისათვის მიუღებელია...
ასწავლეთ შვილებს, რომ მათი დანიშნულება მხოლოდ სიკეთის კეთებაა...
ასწავლეთ, რომ ნებისმიერ გამვლელს მიესალმონ და გაუღიმონ...
ასწავლეთ, რომ უპატრონო საფლავებს მოუარონ...
ასწავლეთ, რომ შუქნიშანთან მდგარი მოხუცი, გზის მეორე მხარეს

გადააცილონ...
ასწავლეთ, რომ სხვების წარმატება უხაროდეთ, რომ მეგობრები ფულის, მშობლების გავლენის მიხედვით არ შეარჩიონ, რომ არავინ სძულდეთ...
ასწავლეთ... მაგრამ ჯერ თავად ისწავლეთ!..

ფინალი:

- ორი გადაძახილით დავშორდით მე და მამაჩემი ამ ქვეყნად სამუდამოდ,,,როცა შევედი მასთან ამომძახა გულამოყოლებით"" ""შენ გენაცვალე შენ"",,..: მე ვანუგეშე "ნუ გეშინია მამა"... გამიღიმა და წავიდა ჩემს თვალწინ ...შევხვდებით აუცილებლად თავის დროზე ,,კეთილი გზა გქონდეს მამა...

- ორაგული მდინარის სათავისკენ მიცურავს ...იქ დაყრის ქვირითს ... თვითონ იღუპება და მისი სხეულით კი ახალგამოჩეკილი ლიფსიტები იკვებებიან ...

- როცა ჩემს სტუდენთებთან ლექციაზე მივდივარ , ხშირად ვფიქრობ , რომ (მიუხედავად დიდი გამოცდილებისა ჩემს პროფესიაში, რაც წლების მანძილზე დამიგროვდა), ჩემი მთავარი მისია, მაინც შუამავლობაა , მათსა და ჩემს მასწავლებლებს შორის. მასწავლებლად კი ყველა იმ ადამიანს ვთვლი ვინც სიკეთით , ცოტა ხნით მაინც გაანათა ჩემი ცხოვრების გზა. როცა მათზე ცოცხალ ისტორიებს ვყვები სხვა ნაპერწკალს ვხედვ ამ ახლგაზრდების თვალებში. ეს ამბავიც ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანის და ყველაზე დიდი მასწავლებლი სიტყუვებით მინდა დავასრულო, რადგან ზუსტად ეს სიტყვები გამოხატავს ჩემს დღვანდელ განწყობას :

- ვეძებ სამშობლოს, როგორც ველიდან დაბრუნებული ფუტკარი თავის სკას და ვერ ვაგნებ. თითქოს სკაც იგივეა და ჩემი თანამოძმენიც იგივენი არიან, მაგრამ საიდან მოდის ეს გაუცხოება? რომელი ნახვრეტებიდან დაიცალა სკა იმ სითბო- სიმყუდროვისგან, რომელსაც ასერიგად ვიყავი შეჩვეული?
ისე კი, მე ხომ არ დავბრუნებულვარ, რადგანაც არც არასოდეს წავსულვარ აქედან. მუდამ აქ ვიყავი. მაშ რა მოხდა? იქნებ ვინმემ იზრუნა და თავად მე შემცვალა ძილში, სხვა სისხლით ამავსო და სხვა სული ჩამიდგა და მერე

საბედნიეროდ გამომაფხიზლა გაუცხოებული გარემოსა და საკუთარი თავის მიმართ.
თუმცა, ვიღას აინტერესებს ერთი ბებერი ფუტკრის ბუზღუნი, ანდა მისი განცდები. იმედია, ღმერთის შეწევნით, დადგება ჟამი და მოვა ჯანმრთელი თაობა და კვლავ აღდგება ჩემი სკის ბზუილი, ხოლო ჩვენ, დოღში დამარცხებული „ერთგულის “ მსგავსად, უკვე დავტკბით იმ შეუმჩნებლობის განცდით, როცა მისთვის ოდესღაც ასე ნაცნობი გამარჯვების ხმაური, შორს არის მისგან და სიამოვნებს, რომ დგას მარტო და რომ არავინ აწუხებს. -ერლომ ახვლედიანი.

2020 წელი.